# შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№24 (9.833)

30 ივნისი-7 ივლისი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## უხვი მოსავალი, მწირი ტექნიკა და არასასურველი ფასი




გვ.5

## მთავრობა ფერმათა და ფერმერთა რეგისტრაციას იწყებს



გვ.2

## ინტერვიუ ოქროს მედალოსან ტყუპებთან



გვ.4

## გუბერნატორის სამუშაო ვიზიტი დედოფლისწყაროში



გვ.4

## სისხლის დონაციის აქცია



გვ.3

## მივდივართ და თან მიგვყვება ჩვენი ბავშვობა

გვ.6





გვ.8

## ახალგაზრდული თეატრის „ბერიკონის“ პრემიერა

# მთავრობა ფერმათა და ფერმერთა რეგისტრაციას იწყებს

საქართველოს მთავრობა ფერმათა და ფერმერთა რეგისტრაციას იწყებს. როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა, შესაბამისი პროექტი მთავრობამ 29 ივნისის სხდომაზე დაამტკიცა.

„ევროპის ყველა ქვეყანაში არსებობს ასეთი ელექტრონული ბაზა. საქართველოში ჩვენ პილოტირების რეჟიმში გვქონდა მევენახეობის კადასტრი, რომელიც ფარავდა რამდენიმე საინტერესო რეგიონს. დღეისთვის ჩვენ ვაპირებთ მთელი საქართველოს ფერმერებს მივცეთ საშუალება, რომ მათი მონაცემები ავსახოთ ერთიან ელექტრონულ სისტემაში. ეს მოგვცემს უკეთესი ინტერაქციის საშუალებას. ფერმერები მიიღებენ ინფორმაციას ყველა იმ სახელმწიფო პროექტის შესახებ, რომელთაც ჩვენ ვახორციელებთ. ამავე დროს გვექნება საშუალება, ფერმერებისგან მივიღოთ ინფორმაცია მათი საქმიანობის შესახებ. ეს გააუმჯობესებს სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკას და ამავე დროს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჩვენთვისაც, რომ დავინახოთ სექტორის დინამიკა და უკეთესად დავგეგმოთ ჩვენი საქმიანობა. მათ შორის ჩვენ გვექნება სრული საკონტაქტო ინფორმაცია ყველა ფერმერისგან“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

მისი თქმით, პროექტი წელს დაიწყება და პირველ ეტაპზე მოხდება ყველა იმ მონაცემთა ბაზის და სისტემის გაერთიანება, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში არსებობს.

# ფინანსთა მინისტრი - მნიშვნელოვანია ოპონენტებმა გააცნობიერონ, რომ მცირე მთავრობის კონცეფცია და ხალხის სახლში გაშვება დაკავშირებული ცნებები არ არის

ძალიან მნიშვნელოვანია ოპონენტებმა გააცნობიერონ, რომ მცირე მთავრობის კონცეფცია და ხალხის სახლში გაშვება ერთმანეთთან დაკავშირებული ცნებები არ არის, - ასე პასუხობს ფინანსთა მინისტრი ნიკოლოზ გაგუა ოპოზიციის კრიტიკას, რომელიც აცხადებს, რომ ხელისუფლება სტრუქტურულ ცვლილებებს ფასადურად ახორციელებს და ხარჯები ვერ შემცირდება, ვინაიდან მთავრობა წინასაარჩევნოდ საჯარო მოხელეებს სამსახურებიდან ვერ გაათავისუფლებს.

“ძალიან მნიშვნელოვანია ყველამ გააცნობიეროს, რომ მცირე მთავრობის კონცეფცია და ხალხის გაშვება ერთმანეთთან დაკავშირებული ცნებები არ არის. ეს ეკონომიკის ელემენტარულმა მცოდნემ უნდა იცოდეს, ამიტომ ჩვენთვის ხშირ შემთხვევაში გაუგებარია, რატომ ხდება ამ ორი ცნების დაკაშირება. როცა ჩვენ მცირე მთავრობაზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ ეფექტურ მთავრობას, რომლის შენახვა ეკონიმიკას უფრო ნაკლები უჯდება. მცირე მთავრობის კონცეფცია არ ითვალისწინებს ვინმეს სახლში გაშვებას და ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი აღრევები ხდება. ჩვენი კონცეფცია მათ შორის ეყრდნობა პრინციპს, რომ საჯარო მოხელე უნდა იყოს დაფასებული“, - აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.

გაგუას განმარტებით, მცირე მთავრობის კონცეფცია არა მხოლოდ ხარჯების შემცირებას ითვალისწინებს, არამედ მთავრობა უნდა იყოს ეფექტური.

“როცა ვსაუბრობთ მცირე მთავრობის კონცეფციაზე, ამის სწორი გამზომველი ინდიტიკატორი არის ხელფასების ფარდობა მშპ-სთან. ეს მაჩვენებელი გასულ წელს გვქონდა 4,5%-ზე მეტი და წელს გვაქვს დაახლოებით 4,3%, ხოლო 2019 წელს დაგეგმილია მისი შემცირება - 3,9%-მდე. ეს ნიშნავს, რომ დაახლოებით 160 მილიონი ლარით შემცირებასთან გვაქვს საქმე. უნდა გვესმოდეს, რომ 3,9% მშპ-ის ხელფასებთან მიმართებაში ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი. მაგალითად, ბოლო მონაცემებით, სინგაპურს აქვს ზუსტად ეს მაჩვენებელი. შეიძლება ითქვას, რომ ეს იქნება ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ბოლო 16-17 წლის განმავლობაში. ბოლო პერიოდის განმავლობაში, ხელფასების მოცვა საბიუჯეტო სექტორში ძალიან მნიშვნელოვნად გვაქვს გაზრდილი. იყო შემთხვევები, როცა ხელფასებზე გაწეული ხარჯი სხვა კატეგორიაში ხვდებოდა, ახლა კი, ხელფასების მოცვა და აღწერა სრულად გვაქვს ასახული. ჩვენი საბიუჯეტო მაჩვენებელი არის აბსოლუტურად ღია და გამჭვირვალე და სწორედ ამ მაჩვენებლებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ხელფასის ზომა ეკონომიკაში იქნება 3,9%, რაც არის ალბათ, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი“, - განაცხადა გაგუამ.

# ზაზა გაბუნია - საქართველო სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება ევროპულ გამოცდილებას, მათ შორის თვითმმართველობის საკითხებში

საქართველო სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება ევროპულ გამოცდილებას, მათ შორის თვითმმართველობის საკითხებში, - ამის შესახებ პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარემ ზაზა გაბუნიამ კონფერენციის - “საქართველოს დელეგაციები ევროპულ ინსტიტუტებში - სამოქმედო გეგმები“ გახსნაზე განაცხადა.

გაბუნიას თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია საკანონმდებლო პროცესის გაგრძელება.

“აღსანიშნავია კონსტიტუციური გარანტიები - ახალი გარანტიები თვითმმართველობისთვის. ჩვენ მოვახდინეთ ინიცირება და თითქმის ყველა საპარლამენტო ეტაპი გაიარა ევროპული ქარტიის დამატებითმა ოქმმა. ე.წ. უტრეხტის ოქმმა, რომელსაც სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ყველა საპარლამენტო კომიტეტმა და დოკუმენტი გადაიგზავნება მთავრობაში შემდგომი პროცედურებისთვის. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილი როგორც პრაქტიკული, ასევე ღირებულებითი თვალსაზრისითაც. საქართველო ამ ნაბიჯით შეუერთდება კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან ევროპულ დოკუმენტს ადგილობრივი თვითმმართველობის კუთხით. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველო სრულად იზიარებს იმ ღირებულებებს, რომელიც არის კონცენტრირებული ამ დოკუმენტში და რაც აერთიანებს ევროპულ სახელმწიფოებს, ჩვენ დავაფუძნეთ სახელმწიფო და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ინსტიტუციური დიალოგის მუდმივმოქმედი ფორმატი. რაც იყო უპრეცენდენტო სივრცე, ახლა არის ძალიან კარგი პლატფორმა და შესაძლებლობა, სადაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, პარლამენტარები, მინისტრები, გუბერნატორები, მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები, აკადემიური და სამოქალაქო სფეროს წარმომადგენლები ერთ სივრცეში, თანასწორობის პირობებში ვმსჯელობთ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე არსებულ გამოწვევებზე“, - განაცხადა ზაზა გაბუნიამ.

ღონისძიებაზე, რომელშიც მონაწილეობას ევროსაბჭოს კონგრესის გენერალური მდივანი ანდრეას კიფერი იღებდა, გაბუნიამ აღნიშნა, რომ ყველას აერთიანებს საერთო სურვილი - განვითარების ახალი, უფრო ძლიერი იმპულსები შეემატოს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობას, როგორც მმართველობის სისტემას. დეპუტატის განცხადებით, ამისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს დელეგაციების როლი ევროპულ ინსტიტუციებში.

პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარემ ისაუბრა მისი ინიციატივით ახლად დაფუძნებულ სახელმწიფო და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ინსტიტუციური დიალოგის მუდმივმოქმედ ფორმატზე, რომელიც იქნება არსებული საკითხების გადაწყვეტის ეფექტური მექანიზმი.

“ვფიქრობ, ეს იქნება ძალიან ეფექტური მექანიზმი გრძელვადიან და საშუალოვადიან პერსპექტივაში, ერთად გადავწყვიტოთ ეროვნულ დონეზე ის საკითხები, რომელიც დღის წესრიგში დგას“, - განაცხადა ზაზა გაბუნიამ.

მისი თქმით, იწყება ფუნდამენტური სამუშაო დეცენტრალიზაციის რეფორმის განხორციელების თვალსაზრისით, რაც ამავდროულად იქნება განვითარების პოლიტიკის მოდელიც და დემოკრატიის პოტენციალის გაზრდის შესაძლებლობაც.

“ჩვენი მიზანია ადგილობრივი ხელისუფლებას ჰქონდეს საჭირო და აუცილებელი უფლებამოსილებები და რაც მთავარია ფინანსური რესურსი ამ უფლებამოსილებების ეფექტურად განსახორციელებლად. ჩვენი მიზანია გავზარდოთ მოქალაქეთა მონაწილეობა და ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, გავაუმჯობესოთ საჯარო სერვისები, აღმოვფხვრად რეგიონული უთანაბრობა, რომელიც დღეს ჩვენი სახელმწიფოს გამოწვევაა, გავზარდოთ პროფესიონალიზმის ხარისხი საკადრო თვალსაზრისით და ა.შ. ჩვენ ვიცით, რა გამოწვევებია და კოორდინაციის მაღალი ხარისხით ვცდილობთ გავუმკლავდეთ ამ ამოცანებს. მაქვს ძალიან დიდი იმედი, რომ ეს რეფორმები, ეს პოლიტიკა იქნება ეფექტურად განხორციელებული“, - აღნიშნა რეგიონული პოლიტიკის და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარემ.

ზაზა გაბუნიას განცხადებით, ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების პროცესში დიდია საერთაშორისო პარტნიორების და მეგობრების როლი.

გაბუნიამ ევროსაბჭოს კონგრესის გენერალური მდივანი ანდრეას კიფერი მოიწვია მიმდინარე წლის ნოემბერში დაგეგმილ ღონისძიებაზე, რომელიც მიეძღვნება საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების 20 წლისთავს.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი, თბილისის მერი კახი კალაძე, ევროსაბჭოს კონგრესის გენერალურმა მდივანი ანდრეას კიფერი, ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი კრისტიან ურსე, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი დავით მელუა.

# დავით სერგეენკო - უნდა შევეჩვიოთ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას პატივი ვცეთ

უნდა შევეჩვიოთ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას პატივი ვცეთ და „რიკოშეტული“ შეფასებები არ გავაკეთოთ, - ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მინისტრმა უპასუხა ჟურნალისტის შეკითხვას, თუ როგორ შეაფასებდა ის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც დეპუტატ ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე ყოფილ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

“ალბათ უნდა შევეჩვიოთ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას პატივი ვცეთ და არ გავაკეთოთ მისი შეფასებები, მით უმეტეს ასეთი “რიკოშეტული“ შეფასებები, რომ ამან ასე თქვა, იმან ისე თქვა და ა.შ. უბრალოდ არაფერს არ ვიტყვი“, - განაცხადა დავით სერგეენკომ.

შეგახსენებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დეპუტატ ვალერი გელაშვილის ცემის საქმეზე დამნაშავედ ცნო.

მოსამართლემ ყოფილი პრეზიდენტი ორივე ბრალში - ძალადობასა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, ასევე ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ორგანიზებაში დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახით, საბოლოოდ 6 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. მიხეილ სააკაშვილს ასევე ჩამოერთვა 2 წლითა და 3 თვით თანამდებობის დაკავების უფლებაც.

# დაკავებული ქართველი მესაზღვრეები გაათავისუფლეს

რუსული მხარის მიერ დაკავებული ქართველი მესაზღვრეები გაათავისუფლეს. ამასთან დაკავშირებით განცხადებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს და განმარტავს, რომ ეს შსს-ს აქტიური მუშაობის და მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების შედეგად, უმოკლეს ვადაში მოხდა.

უწყების ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას ორი მესაზღვრე რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენლებმა დღეს, 12:00 საათზე გადმოსცეს.

“საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ლაგოდეხის სამმართველოს 2 მესაზღვრე მიმდინარე წლის 27 ივნისს, მიღებული გეგმიური დავალების შესაბამისად, საქართველო-რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის დაღესტნის მონაკვეთზე გავიდა, დროებითი საზაფხულო საგუშაგოს გასახსნელად. გარკვეული დროის შემდეგ მესაზღვრეებთან კომუნიკაცია შეწყდა, რის შემდეგაც დაიწყო მათი ძებნის ღონისძიება. პარალელურად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის მიერ დადგინდა, რომ ქართველი მესაზღვრეები რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტრო მომხდარ ფაქტს დეტალურად გამოიკვლევს და ყველა საჭირო ღონისძიებას განახორციელებს“, - აცხადებს შს სამინისტრო.

# მოსალოდნელი სიცხეების გამო ერთიანი ეროვნული გამოცდების განრიგში ცვლილება შევიდა

გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, უახლოეს დღეებში (2 და 3 ივლისს) მოსალოდნელი განსაკუთრებით ცხელი დღეების გამო ერთიანი ეროვნული გამოცდების (ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდისა და ზოგადი უნარების გამოცდის) განრიგი შეიცვალა:

ქართული ენისა და ლიტერატურის 2 და 3 ივლისისათვის დაგეგმილი მეორე სესია ჩატარდება შესაბამისად 4 და 5 ივლისს, დილით. ანუ, აბიტურიენტები, რომლებიც ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე უნდა გამოცხადებულიყვნენ 2 ივლისს, 14:00 საათზე, ამ გამოცდას ჩააბარებენ იმავე საგამოცდო ცენტრში, 4 ივლისს, 08:00 საათზე (სესიისათვის რეგისტრაცია დაიწყება 08:00 საათზე, გამოცდა - 09:00 საათზე).

ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე 3 ივლისს, 14:00 საათზე განაწილებული აბიტურიენტები გამოცდას ჩააბარებენ 5 ივლისს, 08:00 საათზე (სესიისათვის რეგისტრაცია დაიწყება 08:00 საათზე, გამოცდა - 09:00 საათზე).

5 ივლისის ზოგადი უნარების გამოცდის პირველი და მეორე სესია ჩატარდება 7 ივლისს, ანალოგიური თანმიმდევრობით. ანუ, თუ აბიტურიენტი განაწილებული იყო 5 ივლისს 08:00 საათზე, იგი ზოგადი უნარების გამოცდას 7 ივლისს, 08:00 საათზე ჩააბარებს (სესიისათვის რეგისტრაცია დაიწყება 08:00 საათზე, გამოცდა - 09:00 საათზე), ხოლო თუ აბიტურიენტი განაწილებული იყო 5 ივლისს 14:00 საათზე, იგი გამოცდას ჩააბარებს 7 ივლისს 14:00 საათზე (სესიისათვის რეგისტრაცია დაიწყება 14:00 საათზე, გამოცდა 15:00 საათზე).

იმის გათვალისწინებით, რომ აბიტურიენტების უმეტესობას უკვე ამობეჭდილი აქვს საგამოცდო ბარათი, აბიტურიენტის გვერდზე განთავსებულ ელექტრონულ ბარათში ცვლილებები აღარ შევა. აბიტურიენტი გამოცდაზე პირადობის მოწმობითა და საგამოცდო ბარათით უნდა გამოცხადდეს.

# გაიმართა საკრებულოს სხდომა



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ პაპიაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა. საკრებულოს წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე იმსჯელეს . სხდომას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე სოლომონ ღორაშვილი და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

საკრებულომ კენჭი უყარა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს. აღნიშნული ცვლილებების თანახმად, წყლის სისტემის რეაბილიტაციის 73, 2 ათასი ლარით გაიზარდა. ასევე, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია გაიზარდა 157, 6 ათასი ლარით, საკანალიზაციო სანიაღვრე სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცისათვის ბიუჯეტიდან დამატებით 100, 2 ათასი ლარი გამოიყო, გარე განათებისათვის 70, 5 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებებისათვის 114, 4 ათასი ლარი, სპორტული მოედნებისა და დარბაზებისათვის კი 58, 5 ათასი ლარი და სხვა. ჯამში, ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახადების ნაწილი 500, 0 ათასი ლარით გაიზარდა. საბიუჯეტო ცვლილებები საკრებულომ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა.

სხდომაზე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ ცვლილებები შეიტანა „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 14 ივლისის №13 დადგენილებაში .

საკრებულომ კენჭი უყარა და ძალადაკარგულად გამოაცხადა „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივითვი თვითმმართველოების ორგანოებში (მერია/საკრებულოს აპარატი) სტაჟირების გავლის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს2018 წლის 27 აპრილის №44 დადგენილება .

სხდომის გადაწყვეტილებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს თანხმობა მიეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. დედოფლისწყაროში ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე 46 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადასცეს ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრს.

# გუბერნატორის სამუშაო ვიზიტი დედოფლისწყაროში

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი სამუშაო ვიზიტით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს ეწვია.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მხარის გუბერნატორმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან - ნიკოლოზ ჯანიაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან - ნუგზარ პაპიაშვილთან ერთად, სამუშაო შეხვედრა გამართა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ შ.პ.ს. „მექანიზატორის” წარმომადგენლები. შეხვედრაზე განიხილეს ალოობის მიმდინარეობის პროცესი. მოისმინეს მერის წარმომადგენლებისგან, თუ რამდენად შეუფერხებლად და უდანაკარგოდ ხდება მოსავლის აღება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში.

სამუშაო შეხვედრის დასრულების შემდეგ, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსთან, მეუფე დიმიტრისთან ერთად, მხარის გუბერნატორმა და მუნიციპალიტეტის მერმა წმინდა ვახტანგ მეფის სახელობის სკოლა-ინტერნატი მოინახულეს, ადგილზე გაეცნენ სკოლა-ინტერნატის მე-3 საფეხურის სასწავლო კორპუსის რეაბილიტაციას და სპორტდარბაზის მშენებლობას.

დედოფლისწყაროში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, მხარის გუბერნატორი სოფელ არბოშიკში სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობის პროცესს გაეცნო. სამუშაოების შესრულება მაისის თვეში დაიწყო და ივნისის ბოლოს დასრულდება. სოფ. არბოშიკში ახალი წყალმომარაგების სისტემის მშენებლობის დასრულების შემდეგ 130 ოჯახი ისარგებლებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ვიზიტის დასასრულს, ირაკლი ქადაგიშვილი ნიკოლოზ ჯანიაშვილთან ერთად ბიზნესმენ დავით ჯავახიშვილს ეწვია, რომელიც მშობლიურ სოფელში ტურიზმის აღორძინებას გეგმავს და ამ ეტაპზე შესაბამის ინფრასტრუქტურას აშენებს.



# სისხლის დონაციის აქცია

**29 ივნისს დედოფლისწყაროში წითელი ჯვრის ფილიალში სისხლის დონაციის აქცია გაიმართა. დედოფლისწყაროს თბილისის მერიის სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის მედიკოსები ეწვივნენ. აქცია – „გაიღე სისხლი – გადაარჩინე სიცოცხლე“ დედოფლისწყაროში უკვე რამდენჯერმე ჩატარდა. დილიდან ხალხმრავლობა იყო წითელი ჯვრის ადგილობრივი ფილიალის შენობასთან. დედოფლისწყაროელები გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ სისხლის დონაციის აქციაში სიამოვნებით ჩაერთვნენ, რადგან თითოეული მათგანი კარგად აცნობიერებს პაციენტებისთვის საჭირო სისხლის მარაგის არსებობის მნიშვნელობას.**

როგორც სისხლის ბანკის სამედიცინო დირექტორი მარინა რუხაძე ამბობს, დედოფლისწყაროელებმა სათანადო აქტიურობა გამოიჩინეს და სისხლის დონაციის აქციაში მიიღეს მონაწილეობა.

„ჩვენი სამსახური დედოფლისწყაროში პირველად იმყოფება, თუმცა როგორც გაირკვა, ამგვარი აქცია, სხვა სამსახურების ორგანიზებით, დედოფლისწყაროში ხშირად გამართულა. დღესაც ამ კეთილშობილ საქმეში არაერთი მოქალაქე ჩაერთო. იაქტიურეს დედოფლისწყაროს მერიის სამსახურებმა, განსაკუთრებით გამოვარჩევდი სამაშველო სამსახურის თანამშრომლებს, რომლებიც ორგანიზებულად შემოგვიერთდნენ და მოწესრიგებულად ჩაერთვნენ ამ აქციაში. ზოგადად, უნდა ითქვას, რომ სამაშველო სამსახურის თანამშრომლები აქტიურობით მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოირჩევიან, მათთან თბილისშიც აქტიური თანამშრომლობა გვაქვს. თბილისის მერიის სამსახური კი ვართ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური სისხლით ქ. თბილისის გარდა, რეგიონებსაც ამარაგებს. ამდენად, პერიოდულად რეგიონებშიც გვიწევს ჩასვლა და სისხლის დონაციის აქციების ჩატარება,“ – აღნიშნავს მარინა რუხაძე.



დედოფლისწყაროს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი მარინა შეითნიშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ დედოფლისწყაროში სისხლის დონაციის აქციები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსა და სისხლის ბანკის თაოსნობით ხშირად ტარდება და მასში მონაწილეობას ქალაქის გარდა სოფლების მაცხოვრებლებიც იღებენ.

„ამჯერადაც ბევრი მსურველი გამოჩნდა, სპორტის, კულტურის ა(ა)იპების თანამშრომლები, სათნოების სახლის თანამშრომლები მოვიდნენ და სისხლი გაიღეს. ადგილობრივი თვითმმართველობა ყოველთვის ცდილობს და მომავალშიც ასე გააგრძელებს, რომ ხელი შეუწყოს ამგვარი აქციების ორგანიზებას დან დედოფლისწყაროში განხორციელებას. გვინდა ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ კეთილ საქმეში,“ – ამბობს შეითნიშვილი.

ჩვენთან საუბრისას აქციის მნიშვნელობაზე მიანიშნებდნენ და ამგვარი ნაბიჯების აუცილებლობაზე საუბრობდნენ ადგილობრივი დონორებიც, რომელთაც სისხლი გაიღეს.

„სამსახურში გვითხრეს, რომ წითელი ჯვრის ოფისში სისხლის დონაციის აქცია მიმდინარეობდა და სიამოვნებით წამოვედით. ხშირად გვხვდება სოციალურ ქსელშიც და მედიასაშუალებებშიც ქვეყნდება ხოლმე, რომ ამა თუ იმ პაციენტს რომელიმე ჯგუფის სისხლი დროულად ესაჭიროება და ხშირად სისხლის ბანკს არ გააჩნია საჭირო სისხლი. არადა, ასეთ დროს სისხლის დროული გადასხმა მნიშვნელოვანია და ხშირად წამები გადამწყვეტი ხდება. ვფიქრობ, ყველა ადამიანის მოქალაქეობრივი ვალია, იზრუნოს სხვა ადამიანების ჯანმრთელობაზე. ხელი შევუწყოთ და გვერდით უნდა დავუდგეთ ადამიანებს, რომლებიც განსაცდელში არიან და ჩვენი დახმარება ესაჭიროებათ. სისხლის გაღება ის მცირედი თანადგომის გამოხატულებაა, რაც ჯანმრთელ ადამიანებს მათთვის შეგვიძლია. ამიტომაც უყოყმანოდ შემოვუერთდით დღევანდელ აქციას და გავიღეთ სისხლი მათთვის, ვისაც ეს ჰაერივით სჭირდებათ. მითუმეტეს, როცა სამაშველო სამსახურის თანამშრომელი ხარ და წლებია ამ სისტემაში მუშაობ, უკვე ცხოვრების წესად გვაქვს გადაქცეული გაჭირვებულების თანადგომა და მათთვის დახმარების ხელის გაწვდა. ასე იყო დღესაც და იმედი გვაქვს, ჩვენს მიერ გაღებული სისხლი ბევრ ადამიანს დაეხმარება გამოჯანმრთელებაში,“ – აღნიშნავდნენ დედოფლისწყაროს სამაშველო სამსახურის თანამშრომლები.

ილია მარტყოფლიშვილი

# სარწმუნოება და ქვეყნის ტრადიციები —ესენია ის უმთავრესი ფასეულობები, რომლებსაც არასდროს ემუქრებათ საფრთხე...

***„უხვი მოსავალი გვაქვს: 4 ოქრო-დათო და გიორგი პაპუაშვილები, თამარ ლოსეურაშვილი და მაკა ქუმსიაშვილი; 2 ვერცხლი - ანა დოჯურიშვილი და მარიამ დიდებაშვილი. გვიმრავლოს“ – ასე გამოეხმაურა ქვემო ქედის საჯარო სკოლა წლევანდელი კურსდამთავრებულების წარმატებას...***

მათ შორის ორი ოქროსმედალოსანი ტყუპი ძმაა – ᲓᲐᲕᲘᲗ და ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲞᲐᲞᲣᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ, რაც მართლაც იშვიათი შემთხვევაა...

რას განიცდიან ძმები, როგორ აფასებენ თანამედროვე ქართულ განათლების სისტემას და როგორ მომავალზე ოცნებობენ, ამას მათთან ინტერვიუდან შეიტყობთ. გარეგნული მსგავსების გარდა, ძმები იდენტურადაც ფიქრობენ და აზროვნებენ...

**– გილოცავთ სკოლის დამთავრებას. რა განცდაა, როცა უმაღლესი ჯილდოს -ოქროს მედლის მფლობელი ხდები?**

- დიდი მადლობა, ძალიან საამაყოა, გვიხარია, რომ ამდენი წლის შრომა დაგვიფასდა. მაგრამ ცოტა გული გვწყდება,რომ ოქროს მედალს ისეთივე ფასი არ აქვს, როგორიც ადრე ჰქონდა,უკეთესი იქნებოდა, რაიმე უპირატესობა ჰქონოდა, მაგალითად, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვასთან დაკავშირებით.

**– მომავალი პროფესია ალბათ უკვე არჩეული გაქვთ-რამ განაპირობა პროფესიის არჩევანი?**

ᲓᲐᲗᲝ: ჩემი მომავალი პროფესიის არჩევანს განაპირობებს ის, რომელიც მეტი დასაქმების შანსს მომცემს, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ადამიანს არ ეძლევა შანსი მიჰყვეს იმ პროფესიას, რომლის კეთებაც სიამოვნებას ანიჭებს,ამ შემთხვევაში ვგულისხმობ ხატვას,რადგან ეს სფერო მიყვარს და უპერსპექტივობის გამო სამხატვრო აკადემიაში არ ვაბარებ. სავარაუდოდ, უცხო ენების განხრით გავაგრძელებთ სწავლას მეც და ჩემი ძმაც.

**– როგორ გგონიათ, რა ფაქტორებია საჭირო იმისთვის, რომ იყო წარმატებული მოსწავლე?**

-პირველ რიგში, საჭიროა იყო მიზანდასახული, შრომისმოყვარე, პასუხისმგებლიანი და ვთვლი, რომ ამ თვისებებთან ერთად საჭიროა გქონდეს საშუალო დონის ნიჭი მაინც, რომ ეს თვისებები განავითარო და, პირიქით, თუ ეს თვისებები არ გაქვს, მხოლოდ ნიჭი არაფერს წყვეტს.

**- სკოლა და მასწავლებელი-როგორია ის დღეს და როგორი გინდათ, რომ იყოს მომავალში?**

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ: -პირადი გამოცდილებით ვიტყვი, რომ სოფლის სკოლები არ პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს,არ არის სპორტის წრეები,რითაც ბავშვებს მიეცემოდათ შესაძლებლობა ფიზიკურად განვითარებულიყვნენ. ასევე,ჩემი აზრით, ახალგაზრდა თაობასაც უნდა მიეცეს საშუალება გამოავლინოს თავისი ცოდნა და მიიღოს გამოცდილება.ეს კი განათლების სამინისტროს პრეროგატივაა.რაც შეეხება ჩვენი სკოლის ამჟამინდელ მასწავლებლებს,ვთვლი,რომ ისინი თავისი საქმის პროფესიონალები არიან, განსაკუთრებით გამოვარჩევდი ჩემი კლასის დამრიგებელს, გულნარა ტვილდიანს. ვისარგებლებ შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით დიდ მადლობას გადავუხდი მას ჩვენზე გაწეული ამაგისთვის, ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.



**- დღეს ბევრს საუბრობენ სკოლაში არსებულ პრობლემებზე, რა მოგცათ სკოლამ და რა დაგაკლოთ?**

ᲓᲐᲗᲝ –პირველ რიგში, სკოლამ მომცა ცოდნა, ასევე განმივითარა პასუხისმგებლობის გრძნობა და გამხადა პუნქტუალური. სკოლაში არსებულ პრობლემებს რაც შეეხება, სკოლას არ აქვს ბიოლოგიის,ქიმიის და ფიზიკის კაბინეტები, რაც საგნის ძირეულ შესწავლას უშლის ხელს.

**– ყველაფერი იწყება ბავშვობიდან, ამ ასაკში განცდილი დიდწილად განსაზღვრავს ადამიანის მომავალს. რას გაიხსენებდი?**

– თბილ და მოსიყვარულე გარემოში ვიზრდებოდით, სასიამოვნოდ გვახსენდება ბავშვობა, მიუხედავად ჩვენს ოჯახში არსებული ეკონომიკური გაჭირვებისა.

**- საყვარელი ფრაზა...**

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ - „მიმიღე ისეთი, როგორიც ვარ“.

**– სამი სიტყვა, რომელიც განსაზღვრავს შენს ცხოვრებას...**

ᲓᲐᲗᲝ - შრომისმოყვარეობა, მიზანდასახულობა და უფლის რწმენა.

**– ყველაზე ჭკვიანი ადამიანი, ვის რჩევასაც მუდამ ითვალისწინებდით...**

– მშობლებისა და ჩვენი უფროსი დის.

**– დღეს ფასეულობათა ნიველირების ეპოქაა - ასე აფასებენ ტექნიკის საუკუნეს ექსპერტები, ის ადამიანები, რომლებიც საზოგადოების განვითარებას სწავლობენ. თუმცა, ამის მიუხედავად, არსებობს ღირებულებები, რომლებიც შეუცვლელია. თქვენი აზრით, რომლებია ეს ღირებულებები?**

– სარწმუნოება და ქვეყნის ტრადიციები - ჩვენი აზრით, ესენია ის უმთავრესი ფასეულობები,რომლებსაც არასდროს ემუქრებათ აღნიშნული საფრთხე.

**- საყვარელი წიგნი ან ნაწარმოები, რომელმაც თქვენს მსოფლმხედველობაზე გავლენა მოახდინა?**

-არ ყოფილა ერთი რომელიმე წიგნი ჩვენს ცხოვრებაში, რომელსაც ასე ერთბაშად მოეხდინოს გავლენა ჩვენს მსოფლმხედველობაზე. თუმცა, უცხოური მწერლებიდან, განსაკუთრებით მოგვწონს სტივენ კინგი და შარლოტა ბრონტე. ქართველი კლასიკოსებიდან კი კონსტანტინე გამსახურდიას გამოვარჩევდით.

**- როგორ მუსიკას უსმენთ?**

ᲓᲐᲗᲝ - ძირითადად ჰიპ-ჰოპს ვუსმენ, თუმცა, ყველა მუსიკა მომწონს, რომელიც ჩემს გემოვნებას აკმაყოფილებს. ამ შემთხვევაშიც, ისე, როგორც ყოველთვის, ჩვენი გემოვნებები ერთმანეთს ემთხვევა.

**– რა არის თქვენი ჰობი?**

– კითხვა,ხატვა და მუსიკების მოსმენა.

**-როგორ გგონიათ, რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ სამართლებრივ და ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანაში ვიცხოვროთ?**

– ჩვენი აზრით, ხელისუფლებაში უნდა მოვიდეს პროგრესულად და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მთავრობა, რომელიც ორიენტირებული იქნება ადამიანთა კეთილდღეობაზე, ეს კი მოაგვარებს სახელმწიფოს წინაშე არსებულ ყველა პრობლემას, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს განათლებაზე, უნდა აშენდეს სტუდენტური საერთო საცხოვრებლები. ეს უშუალოდ ჩვენი პრობლემაა და, ალბათ, უამრავი ჩვენი თანატოლის, რომლებიც რეგიონებში ცხოვრობენ, ისევ და ისევ ჩვენი მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე.

**ესაუბრა**
ᲘᲜᲒᲐ ᲨᲘᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

# მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესება ძალიან ნელი ტემპით ხდება - არ შეიძლება სირაქლემას პოზაში ვიყოთ, როცა დიაგნოსტიკური სურათი ხელში გვიჭირავს

რა გამოწვევების წინაშე დგას განათლების სისტემა, რაში ხედავს გამოსავალს, როგორ აფასებს მოსწავლეთა შედეგებს საერთაშორისო კვლევებში, რა რჩევებს აძლევს აბიტურიენტებს და განათლების სამინისტროს, ამ და სხვა საკითხებზე ᲛᲐᲘᲐ ᲛᲘᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ საუბრობს:

***- ქალბატონო მაია, პირველ რიგში, დავიწყოთ გამოსაშვები გამოცდების შეფასებით, რომელიც ცოტა ხნის წინ დასრულდა. საკმაოდ დიდია ჩაჭრილი მოსწავლეების რაოდენობა - 11 ათას მოსწავლეზე მეტმა ვერ შეძლო ატესტატის აღება. თქვენი აზრით, რა გახდა ამის მიზეზი?***

- გეთანხმებით, სტატისიტიკა არასახარბიელოა, თუმცა ცოტა უცნაურია ის ფაქტი, რომ გამოცდების შემდეგ ვიწყებთ საუბარს, რატომ ხდება ასე?! შარშან 12 ათასი ჩაჭრილი მოსწავლე გვყავდა, წელს 11 ათასზე მეტია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც ატესტატის აღებას ვერ ახერხებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსანავლე ერთ-ერთ ძირითად საგანში მაინც მინიმალურზე მინიმალურ კომპეტენციას ვერ ადასტურებს. ტესტების სირთულეზე საუბარი ზედმეტია იმიტომ, რომ კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტების სისტემა გვაქვს შემოღებული და ეს სისტემა მაქსიმალურად ერგება კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობას. დავალება გართულდება თუ გამარტივდება მხოლოდ და მხოლოდ მოსწავლის პასუხზეა დამოკიდებული. იმისთვის, რომ მოსწავლემ ბარიერი გადალახოს, საკმარისია 5.5 ქულა მიიღოს, რაც იმას ნიშნავს, რომ დაახლოებით 15 მარტივზე მარტივი დავალება უნდა გადაწყვიტოს წარმატებით. დამეთანხმებით, რომ ეს ბარიერიც არ არის - ძალიან მცირეა მოთხოვნა გამოსაშვებ გამოცდებზე.

***- მაშინ რატომ გვაქვს ასეთი შედეგი? მიზეზი რაში უნდა ვეძებოთ?***

- კითხვას ასე მხოლოდ იმ შემთხვევაში დავსვამდი, თუ საშუალო განათლების საფეხურზე ყველაფერი წესრიგში გვაქვს და რატომღაც მაინც ვერ აბარებენ მოსწავლეები საატესტატო გამოცდებს, ვერ იღებენ საშუალო განათლების ატესტატს. თუ ვნახავთ, რა გამოწვევების წინაშე დგას სკოლა, მაშინ ეს კითხვა არ გაგვიჩნდება. შევხედოთ საერთაშორისო და სახელმწიფო კვლევის შედეგებს. დავიწყოთ დაწყებითი საფეხურიდან, რადგან სახელმწიფო ძალიან მნიშვნელოვან საერთაშორისო კვლევაში იღებს მონაწილეობას - წიგნიერების დონის შეფასებაზეა საუბარი და აღმოვაჩენთ, რომ 9-10 წლის მოსწავლეების 14% დაბალი საფეხურის მიღმა გვყავს, დაახლოებით, 40% კი, ზღვარზეა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ 40%-ს თუ სათანადო ყურადღებას არ მივაქცევთ, სერიოზული პრობლემები შეექმნებათ შემდეგ საფეხურზე. მოზარდები, რომლებიც სათანადოდ ვერ ფლობენ კითხვის უნარს, უჭირთ ტექსტში ცხადად მოცემული ინფორმაციის გააზრებაც, რადგან კითხვის უნარი სწავლის საფუძველია. ასეთ მოსწავლეებს შემდეგ საფეხურზე გაუჭირდებათ არა მარტო ჰუმანიტარული საგნების, არამედ, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის ათვისება, და ა.შ. ეს ყოველივე, საბოლოო ჯამში, მათ დემოტივაციას გამოიწვევს.

გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ ვერ ვიტყვი რომ საკმარისი. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საერთაშორისო კვლევების მესამე ციკლში ვმონაწილეობთ და შედეგი ისევ სრულიად არასახარბიელოა. საბაზო განათლების საფეხურზეც ბევრი რამ რიგზე ვერ გვაქვს. გადავხედოთ სხვა კვლევებსაც, მაგალითად, მე-8 კლასელთა შედეგებს მათემატიკის და საბუნებისმეტყველო საგნების კვლევაში. ასევე, ცნობილი საერთაშორისო კვლევის PISA-ს შედეგებს, რომელშიც 15 წლის მოზარდები მონაწილეობენ და აღმოვაჩენთ, რომ 70 მონაწილე ქვეყანას შორის ბოლო მეოთხედში ვართ. მერამდენე ციკლი ტარდება და, ფაქტობრივად, შედეგები ისევ და ისევ არასახარბიელოა, რადგან მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესება ძალიან ნელი ტემპით ხდება.

***- გამოდის, რომ განათლების სამინისტრო თქვენს რეკომენდაციებს არ ითვალისწინებს...***

- ზოგადად, ურთიერთობა განათლების სამინისტროსთან ძალიან თანამშრომლურია, თუმცა, როგორც იცით, უფლებამოსილებებიც და პასუხისმგებლობებიც მკაფიოდ გამიჯნულია - ჩვენს ორგანიზაციას ევალება კვლევების ანგარიშის მომზადება, შედეგების დეტალური ანალიზით, ამ ანგარიშში აუცილებელი თავი რეკომენდაციებს ეთმობა. ის, თუ როგორ გაითვალისწინებს პოლიტიკის განმსაზღვრელი რეკომედაციებს, სცილდება ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს. ზოგადად, საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობა იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ კვლევის შედეგების ეფექტურად გამოყენება შეიძლება სისტემის გაუმჯობესებისათვის. სწორედ ასე იქცევა ბევრი ქვეყანა. განათლების პოლიტიკას საგანმანათლებლო კვლევების შედეგების გათვალისწინებით გეგმავენ, მიზანმიმართულ ნაბიჯებს დგამენ სიტუაციის შესაცვლელად. ჩვენ (სისტემას ვგულისმობ) კვლევის შედეგები ეფექტიანად ვერ გამოვიყენეთ, არ გადაგვიდგამს ქმედითი ნაბიჯები, არ გვითქვამს, რა კონკრეტულ ნაბიჯებს ვდგამთ რეკომენდაციების შესაბამისად, სიტუაციის გამოსასწორებლად. არ შეიძლება რეალობას თვალი არ გავუსწოროთ. თუ სირაქლემას პოზაში ვიქნებით, სიტუაცია არ შეიცვლება, მითუმეტეს, რომ სასკოლო განათლებაში არსებული ვითარების დიაგნოსტიკური სურათი ხელში გვიჭირავს. დიაგნოზი უნდა გავითვალიწინოთ და შემდეგ დავიწყოთ მკურნალობა.

***- როგორ ფიქრობთ, რატომ არ ხდება პრობლემის აღიარება და „მკურნალობის“ დაწყება? ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს თუ არა სამინისტრომ და განათლების მინისტრმა?***

- ძალიან რთულია მიზეზის დასახელება, თუ რატომ არ ვიწყებთ ამ დიაგნოზის შესაბამისად მოქმედებას - არაერთი კონფერენცია მივუძღვენით ამ საკითხს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან ითქვა, რომ ამ საკითხებს სათანადო ყურადღება მიექცევა. ზოგადად, განათლების პოლიტიკას სამინისტრო განსაზღვრავს. ჩვენ მხოლოდ დამხმარე ვართ, რომელსაც შეუძლია კვლევაზე დაფუძნებით არსებული ვითარების მიუკერძოებელი შეფასება და რეკომენდაციების მიწოდება. თქვენ კითხვას რაც შეეხება, ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება მინისტრების ხშირი ცვლა და პოლიტიკის არათანმიმდევრულობა იყოს. ყოველი ახალი მინისტრი ცდილობს, ისეთი რამ დაგეგმოს, რომ მოკლევადიან პერიოდში ხელშესახები შედეგი ჰქონდეს. თუმცა, პირდაპირ გეტყვით, რომ განათლების სისტემაში ეს ძალიან საშიშია. შეუძლებელია ეფექტური შედეგი ერთ და ორ წელში მიიღო. სისტემის ფეხზე დაყენებას ათი, მეტი წელი სჭირდება. მთავარია სწორი მიმართულებით მოქმედება. დღეს არავინ უარყოფს, რომ სასკოლო განათლების სისტემას სერიოზული გამოწვევები აქვს. გამოწვევების წინაშეა უმაღლესი განათლების საფეხურიც, რაც ბუნებრივია - თუ საშუალო განათლების საფეხური წელში არ გაიმართა, ცხადია, ეს პრობლემები იჩენს თავს უმაღლესი განათლების საფეხურზე.

***- მინისტრების ცვლილებებზე მინდა გკითხოთ. როგორც აღნიშნეთ, საკმაოდ სწრაფად იცვლებიან მინისტრები და სისტემაში წინგადადგმული ნაბიჯები არ გვაქვს. წლების განმავლობაში აკვირდებით პროცესს და ამ პროცესის მონაწილეც ხართ. რომელი მინისტრის პოლიტიკა იყო უფრო წინგადადგმული ნაბიჯი სისტემის გასაუმჯობესებლად?***

- ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ნამდვილად გამიჭირდება იმიტომ, რომ ძალიან ბევრ მინისტრთან ვთანამშრომლობდით. ჩვენი ორგანიზაციაც და მეც ვცდილობდი, მაქსიმალურად კოლეგიალური ურთიერთობა აგვეწყო თითოეულ მათგანთან და საქმე გაგვეკეთებინა, ამიტომ კრიტიკული საუბარი გამიჭირდება.

. ბევრი საუბრობს ფინეთის განათლების სისტემაზე და ეს სისტემა თითით საჩვენებელია, მაგრამ ამ სისტემის ჩამოსაყალიბებლად 40 წელი დასჭირდათ. ფინეთმა მიაღწია საერთოდ საზოგადოების კონსენსუსს. 40 წელი საზოგადოების თითოეული წევრი მოთმინებით დგამდა მიზანმიმართულად სწორ ნაბიჯებს. ახლა იქ სულერთია მშობელი რომელ სკოლაში მიიყვანს შვილს, ლაპლანდიაში, სადაც ე.წ. მოძრავი პედაგოგების სისტემაა, თუ ჰელსინკის ცენტრში. იქ რომ კითხვა დასვა, რომელ სკოლაში მივიყვანო შვილი, ეს ფინელებისთვის სრულიად გაუგებარი იქნება. ჩვენ ერთ თვეში და ერთ წელში გვინდა შედეგის მიღება, რაც განათლების სისტემაში ძალიან საშიშია. საუბარი იყო ფინური მოდელის საქართველოში შემოტანაზეც, რაც ასევე არასერიოზულ ნათქვამად მიმაჩნია. რაც არ უნდა წარმატებული იყოს ქვეყანა, მისი მოდელი როგორ უნდა მოარგო სხვა ქვეყანას? იქ სკოლის საგანმანათლებლო რესურსები იდეალურია, მიაღწიეს იმას, რომ მასწავლებლების კვალიფიკაცია არის უმაღლესი, ყველაზე მომხიბლავი და მოთხოვნადი პროფესია მასწავლებლობაა და, შესაბამისად, ძალიან დიდი კონკურსია სწორედ ამ მიმართულებაზე უმღლეს სასწავლებლებშიც. ურთულესი გზის გავლა უწევთ პედაგოგები რომ გახდნენ. არ არის საკმარისი საგნის ცოდნა, პედაგოგობისთვის ძალიან მაღალი ხარისხის სასწავლო რესურსები აქვთ, მათ შორის, სახელმძღვანელოები და გარემო, რომელიც ფინელი ბავშვებისთვისაა შექმნილი, მათ მოტივაციას უკიდურესად მაღალს ხდის.

**- როდესაც მოსწავლეების მოტივაციაზე საუბრობთ, აუცილებლად უნდა გკითხოთ, რა არის მიზეზი, რის გამოც ქართველი მოსწავლეები**

(გაგრძელება გვ.6)

# უხვი მოსავალი, მწირი ტექნიკა და არასასურველი ფასი

***დედოფლისწყაროში ალოობა ტრადიციულად ქერის ყანების გაჭრით დაიწყო. თავდაპირველად პროცესი გახშირებულმა წვიმებმა შეაფერხა, თუმცა, ამინდი მალწე გამოვიდა და პროცესი სწრაფი ტემპით გაგრძელდა. აღმოჩნდა, რომ წლევანდელი მოსავალი გასულ წლებზე უკეთესია. საშუალო მოსავლიანობა ქერის ყანებში ჰექტარზე 4 ტონას აჭარბებს. მაღალი მოსავლის მიღება, ფერმერთა განცხადებით, ძირითადად, ნალექიან სეზონს უკავშირდება.***

ადგილობრივი ფერმერები ტექნიკისა და საწვავის სიძვირეზე ამახვილებენ ყურადღებას და ამბობენ, რომ წელს ამინდმა ყველაზე მეტად გაამართლა. გაზეთი „შირაქი“ პარლამენტის აგრარული კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს, დედოფლისწყაროს ყოფილ მაჟორიტარ დეპუტატს ბაჩუკი გონაშვილს შეხვდა და ალოობის მიმდინარეობაზე ესაუბრა.

ბაჩუკი გონაშვილი ***(ფერმერი):*** „შარშანდელთან შედარებით წელს უკეთესი მოსავალია, წლევანდელი ალოობა მთლიანობაში ნამდვილად ჯობია. დაახლოებით ორჯერ მეტი მოსავალი მოვიდა, ვიდრე გასულ წელს. შარშან სამ ტონაზე მეტი ქერი ვერავინ ვერ მივიღეთ ჰექტარზე, მიუხედავად იმისა, რომ მოვლილი ნაკვეთები იყო, წელს კი 5-6 ტონაზეც საუბრობენ. ღმერთმა ყველას მეტი მისცეს, ამჯერად ბარაქიანი ალოობაა და ხალხი კმაყოფილია. ეს ყველაფერი კი ამინდმა განაპირობა. ამინდმა ხელი ძალიან შეგვიწყო. თუ გადავხედავთ, ზამთარი იყო ძალიან კარგი, თბილი და ნალექიანი. შემდეგ უკვე გაზაფხულზეც ხშირი წვიმები იყო, რამაც ყანებს განვითარებაში ხელი შეუწყო და ძირითადად ამან განაპირობა, რომ წელს კარგი მოსავალი მოვიდა. ტექნიკასთან დაკავშირებით არაფერი შეცვლილა, რაც შარშან იყო, იგივე სიტუაციაა რაიონში. მართალია, წელს შირაქში ძალიან ბევრი კომბაინი შემოვიდა და ეს კარგია, მაგრამ საკმარისი მაინც არ არის. აქვე უნდა ითქვას, რომ ფასი ძალიან ძვირია. ბენზინის და დიზელის საწვავის ფასიც შარშანდელთან შედარებით გაზრდილია. ტექნიკის საჰექტრო მომსახურების გადასახადი მაღალია. მაგრამ ეს ბიზნესია... რაც შეეხება უშუალოდ მარცვლეულის ფასს, ვიცით, რომ ალოობის პერიოდში ფასი ყოველთვის ეცემა და არასასურველ ნიშნულამდე ჩამოდის. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ წელს მოსავლის აღებამდე ხორბალსაც და ქერსაც საკმაოდ კარგი ფასი ეჭირა. ბოლო დრომდე კილოგრამი ქერი 0,55-0,60 თეთრი იყო, ხორბალი კი 0,50-0,52 თეთრი ღირდა. ამჯერად მარცვლეულის ფასი უკვე 0,35 თეთრამდე დაეცა“.

გასულ წელს კომბაინების სიმცირის შემდეგ ადგილობრივებს ყველაზე მეტად ტექნიკასთან დაკავშირებული საკითხები აინტერესებთ. თუ შარშან 1 ჰა მარცვლეულის აღება 90 ლარამდე შემცირდა, წელს კომბაინის მომსახურების საფასური კვლავ 100 ლარია. დედოფლისწყაროს მერიაში ამბობენ, რომ გაზრდილია როგორც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ისე კერძო კომბაინების რიცხვი, ამდენად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში იმედიანად არიან. დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ხაზს უსვამს, რომ სხვა წლებთან შედარებით, წელს მიწის ყველაზე მეტი ფართობი დამუშავდა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი ***(დედოფლისწყაროს მერი):*** „წელს ალოობის პროცესი წარმატებულად დავიწყეთ. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საშუალოდ, 34 000 ჰექტარზეა ხორბალი და ქერი დათესილი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ასეთი მაჩვენებელი არ დაფიქსირებულა. მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა ქერის ყანებში 4 ტონას შეადგენს, რაც დამეთანხმებით, საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო წლებთან შედარებით, წელს ყველაზე მეტი მიწის ფართობი მოიხნა და დაითესა. ქერის შედეგები და ხორბლის ყანებში არსებული ვითარება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ წელს უხვმოსავლიანობის კუთხით ერთ-ერთი სარეკორდო მაჩვენებელი დაფიქსირდება. თამამად და ხაზგასმით შეიძლება ითქვას, შარშანდელზე უკეთესი სურათი გვაქვს, თუმცა, გვახსოვს, რომ გასულ წელსაც კარგი მოსავალი იყო. წელს კი მოსავლის სიუხვის გარდა, დედოფლისწყაროში დამუშავებული ფართობებიც გაიზარდა და საბოლოო შედეგებზე ესეც გავლენას მოახდენს. გასულ წელს ხმაური იყო კომბაინების სიმცირის გამო, რის შედეგადაც ხელისუფლებამ დახმარება აზერბაიჯანულ მხარეს სთხოვა და გვახსოვს, რომ ტექნიკა მეზობელი ქვეყნიდან შემოვიდა. რაც შეეხება ტექნიკის სიმცირესთან დაკავშირებულ პრობლემებს და ამჟამად არსებულ ვითარებას, თუ შარშან „მექანიზატორის“ დედოფლისწყაროს სერვისცენტრს 27 კომბაინი გააჩნდა, წელს უკვე 40 კომბაინი ჰყავს საკუთრებაში. გარდა ამისა, ჩალაუბნის სერვისცენტრის კომბაინებიც თავდაპირველად ჩვენს მუნიციპალიტეტში შემოვიდნენ, მათაც, დაახლოებით, ამდენივე კომბაინი აქვთ. ასევე მოსახლეობას ემსახურება კერძო საკუთრებაში არსებული კომბაინებიც. მაქვს ინფორმაცია, რომ კერძო კომბაინების რიცხვი შარშანდელთან შედარებით 9 ერთეულით გაზრდილია, ასე რომ, ვითარებას ესეც შეამსუბუქებს. საერთო ჯამში იმედიანად ვარ განწყობილი. აქტიური კომუნიკაცია გვაქვს „მექანიზატორთან“, ინფორმაციის გაცვლა ინტენსიურად ხდება და გვაქვს მოლოდინი, რომ გლეხები დროულად შეძლებენ მოსავლის მომკას და არცერთი მარცვალი არ დარჩება დაუმუშავებელი. აქვე მინდა მოსახლეობას ვთხოვო, რომ მოსავლის დაბინავების შემდეგ განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინონ მიწის ნაკვეთის დასუფთავების დროს. ყველა ერთად უნდა ვეცადოთ, რომ ხანძრები თავიდან ავიცილოთ, რაც ქარსაფარ ზოლებს აზიანებს. არადა, ხელისუფლება უცხოელი პარტნიორების დახმარებით ყველა ღონეს ხმარობს, რომ ქარსაცავი ზოლები აღდგეს, ათეულობით მილიონი იხარჯება ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ადგილობრივი ფერმერები კი ხშირად დაუდევრობას იჩენენ, რაც შემდგომში მათვე აზარალებს. განადგურებული ქარსაფარი ზოლების გამო ხშირად ვიღებთ დაქარულ ნაკვეთებს და შემცირებულ მოსავლიანობას. ყველა ერთად უნდა გავუფრთხილდეთ გარემოს, რათა სავალალო შედეგები თავიდან ავიცილოთ და შევასუსტოთ გაუდაბნოების პროცესი, რომელიც დედოფლისწყაროში ყველაზე მეტად შეინიშნება“.

გასულ კვირას მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში კახეთის მხარის გუბერნატორმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად სამუშაო შეხვედრა გამართა დედოფლისწყაროს ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ შ.პ.ს. „მექანიზატორი“-ს წარმომადგენლები. სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს ალოობის მიმდინარეობის პროცესი, მოისმინეს მერის წარმომადგენლებისგან, თუ რამდენად შეუფერხებლად და უდანაკარგოდ ხდება მოსავლის აღება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში.



„საშუალო საჰექტრო მოსავლიანობა 4-5 ტონას აღწევს, ფასი 35 თეთრამდე დაეცა. მაღალია ტექნიკის მომსახურების ფასი, მნიშვნელოვნად გაძვირდა საწვავი, რაც ხარჯებს ზრდის.“

***წელს შირაქში, გასული წლებისგან განსხვავებით, დამატებითი სახანძრო-სამაშველო პუნქტი არ გახსნილა. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ სახანძრო-სამაშველო სამსახური ადგილობრივი თვითმმართველობის მართვაში აღარ არის და ის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. სამინისტრო კი დამატებითი პუნქტის გახსნის აუცილებლობას ვეღარ ხედავს. ეს პრობლემა დედოფლისწყაროს მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილესთან, სოლომონ პავლიაშვილთან შეხვედრისას დააყენა და დამატებითი პუნქტის გახსნის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება. მერმა აღნიშნა, რომ დამატებითი პუნქტი მინდვრად ყოველწლიურად იხსნებოდა და მის გარეშე შირაქში ხანძრების საფრთხე იზრდება, რაც არა მხოლოდ გარემოს ზიანს გამოიწვევს, არამედ მოსავალსაც გაანადგურებს.***

კარგი მოსავალი მიიღეს ქედელებმაც, რომელთაც 3 500 ჰა მიწის ნაკვეთი წლების მანძილზე დაკარგული ჰქონდათ და რამდენიმე თვის წინ „საქართველოს ბანკისგან“ ინტენსიური საპროტესტო აქციებითა და ადგილობრივი ხელისუფლების გვერდში დგომით დაიბრუნეს, თუმცა, ნაკვეთის გამოსყიდვა მოუწიათ და გადასახდელი თანხა რამდენიმე წელზე გადანაწილდა. სოფელ ზემო ქედში მერის წარმომადგენელი ბეჟან სუხაშვილი ამბობს, რომ მათ ზონაში დაახლოებით 10-მდე კომბაინი მუშაობდა.

„ძირითადად წვიმებმა შეგვაფერხა. ამ ხნის კაცი ვარ და, დილიჩაში, ყანებში ასეთი გუბეები არ მახსოვს. დაახლოებით პირველი ორი კვირა დავკარგეთ, წვიმის გამო ყანები ვერ გაიჭრა. ეს შეფერხება რომ არ ყოფილიყო, ტექნიკის სიმცირის პრობლემა არ შეგვაწუხებდა. მოგეხსენებათ, ყველას უნდა პირველ რიგში თავად აიღოს ნაკვეთი. მოთხოვნა იზრდება და ძნელია, ტექნიკა გაწვდეს ყველა მოქალაქის სურვილს, თუმცა, თანმიმდევრულად ყველას აქვს საშუალება, ისარგებლოს კომბაინით. სოფელში კერძო კომბაინებიც არის და სახელმწიფო ტექნიკაც განაწილდა, ჯამში 10-მდე კომბაინი იყო. მოსახლეობა კმაყოფილია. განსაკუთრებით ისინი, ვისაც მიწები დაკარგული ჰქონდა და ამჯერად დაიბრუნეს. აბსოლუტურად ყველამ დაამუშავა ბანკისგან გამოსყიდული მიწა, წელს უხვი მოსავალი მიიღეს და ქედელები შეეცდებიან, გადასახადი შეიტანონ,“ – ამბობს ბეჟან სუხაშვილი.

მოსავლის აღებისას პრობლემას ზოგჯერ მოსახლეობაც ქმნის.

ტექნიკის სიმწირის გამო რამდენიმე დღის წინ ხმაური იყო სოფელ გამარჯვებაში. ადგილობრივებმა საპროტესტო აქცია გამართეს. როგორც დედოფლისწყაროს მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილმა განაცხადა, ამ ზონაში სამი კომბაინი მუშაობდა, პრობლემა შექმნა ერთ-ერთის დაზიანებამ. ადგილობრივებმა კი კომბაინერს კომბაინის შესაკეთებლად გატანის შესაძლებლობა არ მისცეს.

სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ გასულ წელთან შედარებით ტექნიკის ოდენობა გაიზარდა. ადგილობრივი მოსახლეობისათვის მოსავლის აღების აგროოპერაციას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „მექანიზატორი“ ახორციელებს. პროცესების შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, კახეთში მობილიზებულია 102 ერთეული შპს „მექანიზატორის“ მარცვლეულის ამღები კომბაინი, აქედან, გურჯაანის სერვის-ცენტრში 60, ხოლო დედოფლისწყაროს სერვისცენტრში - 42 ერთეული. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული ტექნიკა სრულად ჩაერთვება მიმდინარე სამუშაოებში. გარდა მოსავლის აღების აგროოპერაციისა, შპს „მექანიზატორი“ მიწათმოსარგებლეებს მთელი საქართველოს მასშტაბით 80-მდე აგროოპერაციის შესრულებას სთავაზობს.



ილია მარტყოფლიშვილი

# მივდივართ და თან მიგვყვება ჩვენი ბავშვობა

სულ ახლახანს მიწყდა ბოლო ზარის წკრიალი სკოლებში, ახალგაზრდებმა გაიხურეს სკოლის კარი და მათ ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. ახლა სხვა სამზადისი აქვთ სკოლებს – ახალი ცვლა უნდა მიიღონ. ის, თუ როგორი ნაკადი შევა სკოლებში, საბავშვო ბაღების გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული, რადგან სწორედ აქ ეყრება საძირკველი ცოდნის დიდ ტაძარს, რომელმაც სულ რაღაც ორ ათეულ წელში უნდა ჩაიბაროს ჩვენი ქვეყნის მართვის სადავე. ამიტომ იქცა პრიორიტეტად ჩვენი მთავრობისთვის სკოლამდელი აღზრდის საქმე. მთელს ქვეყანაში, და მათ შორის ჩვენს რაიონშიც, საბავშვო ბაგა-ბაღებში მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა – ისინი გარემონტდა, აღიჭურვა თანამედროვე, ახალი ინვენტარით, გაუმჯობესდა კვების რაციონი და, რაც უთუოდ მნიშვნელოვანია, მშობლებისთვის ის გახდა უფასო – ბავშვთა მომსახურების ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს. სულ მოკლე ხანში იგეგმება აღმზრდელ-პედაგოგებისთვის ხელფასების მატებაც, რაც დღეისთვის, ნამდვილად, სულაც არ არის მათი შრომის ექვივალენტური. ახლა საბავშვო ბაღებში გამოსაშვები საღამოების ციებ-ცხელებაა. ამჯერად ქალაქ დედოფლისწყაროს №3 საბავშვო ბაგა–ბაღში ვესწრები საზეიმო გაცილებას. აქ 5-6 წლიანთა ჯგუფის საახალწლო ზეიმსაც ვესწრებოდი და აღტაცება ვერ დავფარე არა მარტო ბავშვების მაღალი ცოდნის დონის და უნარ-ჩვევების გამომჟღავნების, არამედ დარბაზის შთამბეჭდავი, უნაკლო დეკორაციის გამოც. გაფორმება ეკუთვნის აღმზრდელის თანაშემწეს მარიტა ბექიშვილს. ბაღისკენ მიმავალი ვფიქრობდი, ახლა რაღას მოიფიქრებენ ნეტა, იმაზე უკეთესს-მეთქი, მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ღია ცისფერი, ვარდისფერი და თეთრი ფერები უზადო ჰარმონიას, სინაზეს და სიმშვიდეს ჰქმნიდა, დარბაზში შემოცქრიალებული, კოხტად ჩაცმულ-დავარცხნილი ბავშვებიც თეთრსა და ვარდისფერში იყვნენ გამოწყობილნი. მუსიკის მასწავლებელი ხათუნა ჯანაშვილი ინსტრუმენტთან ადგილს იკავებს და ზეიმიც იწყება, რომელიც არაორდინალურია, ტრადიციულად არ არის გაჯერებული მხოლოდ ბაღთან განშორების სევდაზე, სკოლაში წასვლის ოცნებაზე, სამშობლოსა და დედის სიყვარულზე, ორიენტირებული თუმცა, არც უამისობაა, მაგრამ ძირითადი აქცენტი საბავშვო ბაღში გატარებული წლების ქრონიკაა. წამყვანები ანა ჯამასპიშვილი და გიორგი გურამიშვილი მოწვეულ სტუმრებს, პედაგოგებს და მშობლებს გულწრფელად ესალმებიან და გვიყვებიან, რომ... იყო და არა იყო რა, იყო ერთი საბავშვო ბაღი, რაიონის ცენტრიდან ცოტა მოშორებით, რომელსაც მიხვეულ-მოხვეული გზებით უნდა მიაგნო. მწვანეში ჩაფლულ №3 საბავშვო ბაღში არაჩვეულებრივად ჩვეულებრივი ბავშვები ცხოვრობენ. აი ისინიც... და წყვილ-წყვილად შემოცქრიალებული ბავშვები თავს გვაცნობენ და თავის ადგილს იკავებენ.

-უკვე შევგროვდით ლამაზი ჯგუფი, რომელსაც ასეთივე ლამაზი პედაგოგები ჰყავს, მათი დამსახურებაა, ასეთი კარგები და ყოჩაღები რომ ვართ! გვიყვარს ჩვენი სამშობლო, ლურჯი ზეცით, მაღალი მთებით და ულამაზესი სახელით – საქართველო! - ერთმანეთს ენაცვლებიან თხრობაში მარიამ აჩელაშვილი და ერეკლე ლაპიაშვილი. მერე თავიანთი დაბადების ამბებს „გვიმხელენ“:



-მე რომ დავიბადე, მზე იყო და ამიტომ მაქვს მზისფერი თმები- ამბობს ლუკა კედელაშვილი და წითურ თმებზე ხელს ისვამს; -მე დილით დავიბადე და ამიტომ ვარ თეთრი – ამბობს პირმშვენიერი ანა-მარია ნერსესოვი. ირაკლი ზურიკაშვილი და საბა ნერსესოვი კი ღამე დაბადებულან და ერთს შავი თვალები გამოჰყოლია, მეორეს კი – შავი თმა. – მე რომ დავიბადე, ექიმმა ხელში ამიყვანა, მე ვიყვირე – დედა მინდა-მეთქი, მაგრამ ყვირილი ტირილად ჩამითვალეს და „ბიჭია, ბიჭიო“დაიძახეს, – „გულმოსულია“ ბაჩო ბიჩელაშვილი. თურმე ეკა ღვინიაშვილი დედამ კომბოსტოში იპოვა, გიორგი სესიტაშვილი კი – ჭარხლის ფოთლებში. დაბადების ამ არასტანდარტულ ფორმას „აპროტესტებს“ პავლე პოჟიდაევი და მშობლების მადლიერია, ამქვეყნად რომ მოევლინა. ყველას ერთად კი უხარია, რომ საბავშვო ბაღში ერთად მოიყარეს თავი, სადაც ერთობიან, სწავლობენ, უყვართ ერთმანეთი, ცელქობენ კიდეც, გემრიელ საჭმელებსაც მიირთმევენ და ფიზიკურადაც კაჟდებიან. ასე გაატარეს მათ ოთხი წელი, ახლა კი ბაღს ეთხოვებიან, სკოლისკენ მიიჩქარიან და ადგილს ახალ პატარებს უთმობენ.

დამსწრეთა წინაშე თავი რომ მოიწონონ, სხვადასხვა „სიტუაციებს“ წარმოგვიდგენენ, სადაც ცდილობენ, გამოამჟღავნონ იუმორის გრძნობა, მათემატიკის ცოდნა, „მილიონერობაზე“ ოცნება, ითამაშონ პრანჭია გოგონების როლი და სხვა. შემდეგ კი სცენაზე პროექტი „ნიჭიერი“ წარმოგვიდგინეს. ეს მხიარული და ქარიზმატული რუსკა მაყაშვილია (სალომე სეფიაშვილი) წამყვანების-ვანიკო თარხნიშვილისა (ლუკა კედელაშვილი) და გიორგი ყიფშიძის (ირაკლი ზურიკაშვილი) მოხმობაზე ჩვეული მანერით რომ შემოიჭრა სცენაზე, მას გოგონების გულთამპყრობელი გიორგი ბახუტაშვილი (ლუკა ლიქოკელი) მოჰყვა, ბოლოს კი თავისი განუყრელი „კაშნეთი“ ჟიურის დინჯად შემოუერთდა ლევან წულაძე, იგივე ჭოლა (გიორგი გურამიშვილი) და „კონკურსანტების“ ჯერიც დადგა: თამუნა ჯალიაშვილმა „ჰიპ-ჰოპი“ იცეკვა, გიგა რაჯაბაშვილმა და ლუკა მუჟიჩენკომ აკრობატული ნომრები შემოგვთავაზეს, გვანცა ჯეთერიშვილმა, ანა ჯამასპიშვილმა და ანა-მარია ნერსესოვმა ყველასთვის ნაცნობი და საყვარელი სიმღერა „მიფრინავს დრო“ შეასრულეს, გიორგი ქართლელიშვილმა და ერეკლე ლაპიაშვილმა ცეკვა „ლეზგენკით“ გააოცეს ჟიური, ხოლო ნიკოლოზ ქადაგიძემ „აჭარული“ ჩამოუარა, არც „სტაჟიანმა ნიჭიერისტმა პავლოვიჩმა“ (ბაჩო ბიჩელაშვილი) დააგვიანა, მაყურებელი გაამხიარულა და სამშობლოს სიყვარულით გულანთებულმა პატრიოტული ლექსიც ოვაციების ფონზე დაასრულა. დასრულდა „ნიჭიერი“, ყველა მონაწილემ მაღალი შეფასება მიიღო და მეორე ტურში გადავიდა, რამაც მსმენელის აპლოდისმენტები დაიმსახურა. დადგა განშორების სევდანარევი მომენტიც „და აჰა, დაგვიდგა დღე სანატრელი, ბარტყებმა დავიწყეთ ფრენა, მივფრინავთ ბუდიდან საბავშვო ბაღისა, გემშვიდობებით ყველას“ – ამბობს ანდრია ზუბიაშვილი და მის აზრს აგრძელებს ნინო გოჩიტაშვილი: – „ამ ჭერქვეშ ავიდგით მრავალმა ფეხი, ამ ჭერქვეშ ვისწავლეთ ხტომა, მშვიდობით, მშვიდობით, საბავშვო ბაღო და შენ გამარჯობა, სკოლავ!“.

– ჩვენო მასწავლებლებო, აუწონავია თქვენი ღიმილი დედის ღიმილივით თბილი, იის სურნელივით საამო და მზესავით ნათელი; დაგიფასებთ ამაგს, არ დაგვავიწყდება თქვენი დარიგებები და გავხდებით ქვეყნის სახელოვანი შვილები – ყველაზე ჭკვიანები, ყველაზე დამჯერები, ყველაზე მაგრები. „მომავალი შენია“ – თქვა დიდმა ილიამ და ეს მომავალი, ჩვენი წყალობით, ნათელი და ბედნიერი იქნება. ასე გვწამს ჩვენ! – ყველასთან ერთად ამბობენ ნიკოლოზ გოჩიტაშვილი, ერეკლე მეხრიშვილი, ანდრია და მილქა ჯეთერიშვილები და საყვარელ ბაღს ემშვიდობებიან. მათ გზას ულოცავს აღმზრდელი ქეთევან ჯალიაშვილი: – და თუ გაზრდილი შემიქე, სხვა არაფერი მინდა, – თქვა მან და სკოლაში მიმავალ 21 აღსაზრდელს საბავშვო ბაღის დამთავრების აღმნიშვნელი ალბომები გადასცა. აღსაზრდელებს მიესალმა საბავშვო ბაღის დირექტორი მაია ფოცხვერაშვილი და მადლობა გადაუხადა აღმზრდელს ქეთევან ჯალიაშვილს, თანაშემწეს მარიტა ბექიშვილს, მუსიკის მასწავლებელს ხათუნა ჯანაშვილს და ძიძას ირინა ხარებაშვილს ოთხი წლის განმავლობაში ამ ბავშვების აღზრდაზე გაწეული შრომისა და ლამაზი გამოსამშვიდობებელი ზეიმის ჩატარებისთვის.

ზეიმს დედოფლისწყაროს სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის მოადგილე თათია ბენაშვილი და ცენტრის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

ნაირა გორაშვილი

# მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესება ძალიან ნელი ტემპით ხდება - არ შეიძლება სირაქლემას პოზაში ვიყოთ, როცა დიაგნოსტიკური სურათი ხელში გვიჭირავს

(მეოთხე გვერდიდან)

**არ სწავლობენ - სკოლა, ოჯახი, განათლების სისტემა, საგნის სირთულე თუ ბავშვის სიზარმაცე?**

- ჩვეულებრივ, ამას კომპლექსური მიზეზი აქვს. ეს შეიძლება იყოს განათლების პოლიტიკა, სასწავლო გეგმა და საგანმანათლებო რესურსები, მასწავლებლების კვალიფიკაცია, გარემო, ოჯახს აქვს ფუნდამენტური გავლენა - მოკლედ, ძალიან ბევრი ფაქტორი შეგვიძლია დავასახელოთ, რაც საბოლოო ჯამში, გავლენას ახდენს ჩვენი ბავშვების მიღწევებზე.

**- გამოსავალი რა არის? როგორი გეგმა უნდა არსებობდეს პრობლემის მოსაგვარებლად?**

- თუ ჩემს მოსაზრებას მეკითხებით, გეგმა კომპლექსური უნდა იყოს. რას ნიშნავს მოსწავლე ზარმაცია და სწავლა არ უნდა? მოსწავლეს სწავლისადმი მოტივაცია ვინ უნდა გაუჩინოს? - თუ მას დააინტერესებ, გამორიცხულია მოტივაცია არ გაუჩნდეს, ეს მთელი ხელოვნებაა. მოსწავლეთა დაინტერესებისა და სასწავლო პროცესში აქტიური ჩართვისთვის უამრავი სტრატეგია არსებობს და საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ეს გამოცდილებაც გავიზიაროთ. თუმცა ეს სათანადო რესურსებისა და მხრდაჭერის პირობებში მოხერხდება. ველოსიპედის გამოგონება არ არის საჭირო. ისევ კვლევებს დავუბრუნდები, როცა ჩაჭრილ მოსწავლეებზე ვსაუბრობთ, ვნახოთ მე-9 კლასელი მოსწავლეების შედეგები საბუნებისმეტყველო საგნებში, მათემატიკაში. როცა 40%-ზე მეტია იმ მოსწავლეების რაოდენობა, რომლებიც დაბალი საფეხურის დაძლევასაც ვერ ახერხებენ, რატომ გვაქვს მოლოდინი, რომ მე-12 კლასის ბოლოს უკეთესი შედეგი გვექნება? - ეს მე არ მესმის. რატომ უნდა ვიმსჯელოთ გამოცდის შედეგებით? - ეს ხომ იმ შედეგის ანარეკლია, რაც ქვედა საფეხურზე გვაქვს. ამიტომ უნდა ვიფიქროთ დაწყებით და საბაზო საფეხურზე როგორ ვუშველოთ ამ ვითარებას, როგორ გამოვასწოროთ პრობლემა. მაგალითად, როცა დაწყებით საფეხურზე მოსწავლეს კითხვის უნართან დაკავშირებით პრობლემა აქვს, ცხადია, მას მათემატიკური ამოცანის აღქმა გაუჭირდება. ამოცანის პირობას ვერ იგებს, ამისთვის ხომ განვითარებული კითხვის უნარია საჭირო? - როცა წარუმატებელი მცდელობა ორჯერ და სამჯერ განმეორდება, დაკარგავს მოსწავლე მოტივაციას.

**- რამდენჯერმე ახსენეთ მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლება, საგნით დაინტერესება და ა.შ. მაშინ, როდესაც 67 342 პედაგოგიდან უმაღლესი კატეგორიის მხოლოდ 9 მასწავლებელია, ფიქრობთ თუ არა, რომ პედაგოგთა კვალიფიკაციის პრობლემაც არსებობს? გარდა ამისა, ვიცით, რომ კვალიფიკაციის დადასტურების გამოცდაც მოხსნილია პედაგოგებისთვის. ეს ნიშნავს თუ არა პრობლემიდან გაქცევას?**

- სწორედ ეს არის ერთ-ერთი მაგალითი იმისა, თუ რატომ არ არის მიზანშეწონილი განათლების სისტემაში ერთი ხელის მოსმით რაღაცების ცვლა. ერთმა მინისტრმა გადაწყვიტა, რომ მასწავლებელს მხოლოდ საგნობრივი ცოდნა შეუფასოს. მეორემ გადაწყვიტა, რომ მასწავლებლების გამოცდაზე გაყვანა შეურაცხმყოფელია და მათ მხოლოდ კომპეტენცია უნდა დაადასტურონ. არადა, ამ სისტემაშიც ზოგი მასწავლებელი ამ კომპეტენციას დაადასტურებს, ზოგი ამას ვერ ახერხებს. ვფიქრობ, ეს არსებითი არ არის, თუ რას ვუწოდებთ ამ პროცესს. შორს წაგვიყვანს იმაზე საუბარი, როგორ უნდა დავეხმაროთ პედაგოგებს კვალიფიკაციის ამაღლებაში. ეს პირველ რიგში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის კომპეტენციაა.

**- მაინც, რა იქნება თქვენი რეკომენდაცია ამ შემთხვევაში?**

- პირადად ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ამხელა თანხებს მასწავლებელთა შეფასებაში არ დავხარჯავდი. უმჯობესია, მიზანმიმართულად კონკრეტულ მასწავლებელს დაეხმარო, ვისაც მართლა დახმარება სჭირდება. საბოლოო ჯამში, რა არის ჩვენი მიზანი? - ჩვენი ბავშვების უზრუნველყოფა ხარისხიანი განათლებით. დანარჩენი ყველაფერი საშუალებაა - მასწავლებლის კვალიფიკაცია, სახელმძღვანელო, სასკოლო რესურსები იმისთვის, რომ მაღალი ხარისხის განათლება შევთავაზოთ ჩვენს შვილებს და შედეგები გაუმჯობესდეს. როდესაც გვყავს მასწავლებლები, რომელთა მოსწავლეებიც წლიდან წლამდე კარგ შედეგებს აღწევენ, ამ მასწავლებელს შემოწმება და შეფასება რად უნდა? ჩემთვის პირადად სულერთია, როგორ ახერხებს მასწავლებელი, რომ მოსწავლეს მოტივაციას უჩენს, როგორ ახერხებს, რომ კონკრეტულ საგანში ცოდნას აძლევს მოსწავლეებს, როგორ ახერხებს, რომ ასეთი კარგი მოსწავლეები ჰყავს?! ყველას ერთ ყალიბში ვსვამთ?? ჩასმა, ვფიქრობ, არასწორია.

ვფიქრობ, მთელი ქვეყნის მასშტაბით მოსწავლეების მიღწევების შეფასება სასარგებლო ინფორმაციას მოგვცემს იმის თაობაზე, სად გვაქვს პრობლემური სეგმენტები და ვის სჭირდება დახმარება. ეს აქამდე არ გაკეთებულა. მოვახერხოთ იმ სკოლების იდენტიფიცირება, რომლებსაც კონკრეტულ საგნებში აქვთ პრობლემა, რომლებიც შესაძლოა, სულაც არ იყოს მასწავლებლის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული. კომპლექსურად უნდა შევისწავლოთ საკითხი. თუ მასწავლებლის კვალიფიკაცია აღმოჩნდება პრობლემა, ამ კონკრეტულ მასწავლებელს დავეხმაროთ, კონკრეტულად მისთვის დავნიშნოთ ტრენინგები, მერე ჩავუტარებდი გამოცდას და შევაფასებდი შედეგს. ყველა მასწავლებლისთვის გამოცდის ჩატარება რატომ არის აუცილებელი, არ მესმის.

**- ვიცით, რომ ეროვნულ გამოცდებს გარკვეული სიახლეებით ხვდებით. კიდევ ერთხელ რომ განვმარტოთ, რა სიახლეები იქნება ? კონკრეტულად მათემატიკის გამოცდაზეც რომ გვითხრათ, რაზეც საუბარი იყო, რომ ტესტები გამარტივდებოდა; რა დახვდება აბიტურიენტს საგამოცდო ცენტრში?**

- მათემატიკის საგამოცდო ტესტი არ გამარტივებულა. გამარტივება არ ნიშნავს იმას, რომ მაღალი ქულა მარტივად მიიღო, რაც ასე არ არის. ერთადერთი, ტესტში მარტივი დავალებების ბლოკი გაიზარდა და შედარებით უფრო მარტივი იქნება ბარიერის გადალახვა. თუმცა, მაღალი ქულის მისაღებად არანაკლები ძალისხმევა იქნება საჭირო, რაც წინა წლებში. სიახლე შეეხო ზოგადი უნარების ტესტს - ანალოგიების ბლოკი გაერთიანდა წაკითხულის გააზრების ბლოკთან. სხვა სიახლეები ამჯერად არ გვაქვს.

**- შესაძლოა, რომ მომავალ წელს საგამოცდო ცენტრები მხოლოდ იმ ქალაქებში იყოს, სადაც უმაღლესი სასწავლებლებია?**

- ვერ გეტყვით, რომ ეს მომდევნო წელს შეიძლება მოხდეს, ოზურგეთის და ფოთის საგამოცდო ცენტრის გაუქმებაზე როდესაც ვსაუბრობდით, ამას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. ჩვენ, ცხადია, ასეთ გარემოებებს ანგარიშს ვუწევთ, თუმცა ლოგიკური ცვლილება იქნებოდა.

**- რაც შეეხება კონდენცირების სისტემას. წინა წელს ჰაერის მაღალმა ტემპერატურამ აბიტურიენტებს პრობლემა შეუქმნა. მოგვარდა თუ არა ეს პრობლემა და იქნება თუ არა საგამოცდო ცენტრებში კონდენციონერები?**

- ბატონი მიხეილ ჩხენკელის ინიციატივა იყო, რომ კონდენცირების სისტემა წელს ყოფილიყო, თუმცა ეს დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ძალიან რთული ვითარება იყო რუსთავის საგამოცდო ცენტრში, რადგან მთელი დღის განმავლობაში მზე ადგას შენობას, ამიტომ, როგორც საპილოტე პროექტი, მხოლოდ ამ საგამოცდო ცენტრში იქნება წელს კონდენციონერი. გულწრფელად გეტყვით, ეს უსამართლოდ მიმაჩნია, არც მინისტრისთვის დამიმალავს ჩემი აზრი. ასევე ვცადე ამეხსნა, რა პრობლემებს შეიძლება გადავაწყდეთ კონდენცირებისას - ბევრი ადამიანი ვერ ეგუება კონდენციონერს, თან ეს ხმაურის პრობლემასაც შექმნის სექტორში, რთულია, ყველას სურვილს მოერგო. თუმცა, ამ ეტაპზე რუსთავის საგამოცდო ცენტრში კონდენცირება იქნება.

**- დაბოლოს, რას ურჩევთ აბიტურიენტებს, რომლებიც საგამოცდო ცენტრებს ორშაბათს მოაკითხავენ?**

- პირველ რიგში ვურჩევდი, რომ ნუ ინერვიულებენ, ეს ხელს უშლით მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები; მაქსიმალურად კეთილგანწყობილები დავხვდებით. უმორჩილესად ვთხოვ ყველას, ამ დარჩენილ რამდენიმე დღეში არაერთხელ შევიდნენ საკუთარ გვერდზე და შეამოწმონ, რომელ საათზე და რომელ საგამოცდო ცენტრში უნდა მივიდნენ. დაგვიანება უმტკივნეულესია ჩვენთვისაც და მათთვისაც. ზედმეტ ნივთებს ნუ მოიტანენ და განსაკუთრებული სიმკაცრე იქნება ტელეფონებთან დაკავშირებით. აბიტურიენტს თუ ტელეფონი აღმოაჩნდა, ის ავტომატურად, გაფრთხილების გარეშე, იხსნება საგამოცდო ცენტრიდან და რაც მთავარია, მაქსიმალურად მობილიზებულები იყვნენ, რომ თავიანთი ცოდნა წარმოაჩინონ.




# „შირაქის" სკივრი

**გაზეთ „შირაქის" რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.**

## 1960 WLIS IVLISI

◆ UCXO TVALI ROM SEXEDAVS WITELWYAROS CENTRSI QARTULI SASUALO SKOLIS AXALI, OTXSARTULIANI SENOBIS MSENEBLOBIS SAKITXS, SIAMOVNEBAS IGRZNOBS, UTUOD GAUXARDEBA AM SASVILISVILO SAQMIS WAMOWYEBA. MAGRAM TU MISI GAJAXIREBULI MSENEBLOBIS ISTORIAS GADAXEDAVS GULI DASWYDEBA. SKOLIS MSENEBLOBAM UKVE RAMDENIME INJINERI GAMOICVALA. BEVRI TEQNIKURI DABRKOLEBA GADAXDA DA MIS DAMTAVREBAS JERJEROBIT BOLO AR UCANS. REDAQCIA MSENEBLOBIS UFROS INJINERS OTAR ARSABAZES ESTUMRA. IS AMBOBS: `TU YOVELDRE 35 MUSA GVEYOLEBA, SENOBAS SEQTEMRISTVIS DAVASRULEBT, SAWIRO MASALITA DA FINANSEBIT UZRUNVELYOFILI VART. DAVALEBULI HQONDAT SOFEL JAFARIZIS, WITELWYAROS, ORJONIKIZIS KOLMEURNEOBEBS YOVELDRIURAD MSENEBLOBAZE 10-10 KACI GAMOEGZAVNAT, MAGRAM GANSAKUTREBUL PASIUROBAS ICENS JAFARIZE. AMIS GAMO FERXDEBA MUSAOBA. JAFARIZIS SKOLIS DIREQCIA SISTEMATIURAD GVIGZAVNIS MOZRDIL MOSWAVLEEBS SAMUSAOD, MAGRAM ISINI MXOLOD SAWARMOO PRAQTIKAS GADIAN DA VER DAVTVIRTAVT, MATI SROMA SAKMARISI AR ARIS~ SAWIROA, RAIONIS DA DABIS CENTRIS MSROMELEBMA DA GANATLEBIS GANYOFILEBAM MXARI DAGVIWIRON, ROM CVENS MOSWAVLEEBS SEQTEMBRISTVIS KETILMOWYOBILI SENOBA MIVCET.

◆ GAVASUQOT DA SAXELMWIFOS MIVYIDOT 30 000 SULI RORI! ASETIA WITELWYAROS RAIONIS MSROMELTA VALDEBULEBA MIMDINARE WELS. 10 IVNISIS MONACEMEBIT SUQEBIDAN MOIXSNA DA SAXELMWIFOS MIEYIDA 4 222 SULI RORI, 316 TONA COCXALI WONIT. AMJAMAD SUQEBAZE DGAS 4 156 SULI. ROREBIS SUQEBIS SAQMESI DAWINAUREBNEN SOFEL ARBOSIKIS, JAFARIZIS DA SABATLOS KOLMEURNEOBEBI. CAMORCEBIAN ZEMO MACXAANIS, MIRZAANISA DA SOFEL WITELWYAROS KOLMEURNEOBEBI. MIVBAZOT MOWINAVEEBS DA SEVASRULOT NAKISRI VALDEBULEBA, SAMSOBLOSA DA CVENS XALXS MIVCET METI XORCI, VASAXELOT MSOBLIURI RAIONI.

◆ ARBOSIKIS KOOPERATIVIS GAMGEOBAM KARGAD GAITVALISWINA MOQALAQETA KANONIERI MOTXOVNA DA WELS SATANADO YURA-
DREBA DAUTMO SAVAWRO
QSELIS GAFARTOEBIS
SAQMES. MIREBULI ZO-
MEBIS SEDEGAD SOFEL
OZAANSI GAVXSENIT MEO-
RE MARAZIA, GEDIQZE -
SASURSATO FARDULI
ZEMO MACXAANSI KI MEORE
DUQANI. MACXAANSI ZVEL
DUQNISTVIS, ROMELI
KERZO BINASIA MOTAV-
SEBULI, MIMDINAREOBS
AXALI BINIS MSENEB-
LOBA. WELS ZEMO MA-
CXAANSA DA GAMARJVEBAS
DAVIWYEBT MARAZIEBIS
AXALI, TANAMEDROVE
TIPIS SENOBEBIS AGEBAS.
AMISTVIS UKVE DASVE-
BULIA SAWIRO TANXEBI. QSELIS GAFARTOEBASTAN ERTAD UMJOBESDEBA MOMSAXUREBAC. AMIS SEDEGAD DAXLIS MUSAKEBMA GASULI 5 TVIS SACALO GEGMA GADAWARBEBIT SEASRULES.

◆ DABA WITELWYAROS CENTRSI MDEBARE E.W. `JARISWYALS~ GASUL WELS SEUKETES NAVI, MAGRAM WYAROS 1 MILI VIRACAM MOAZRO DA MAS MERE WYLIS AREBA GARTULDA. MOSAXLEOBA UKMAYOFILEBAS GAMOTQVAMS, ROM WIRS BALONIS AVSEBA. ES PROBLEMA DROULAD SAWIROEBS MOGVAREBAS.

MINDEBA. SAQNAVTIS SAXLMMARTVELI ILIA ZURIKASVILI AMBOBS: `SAKUTARI MANQANA GVYAVS TUALETEBIS DASUFTAVEBA PROBLEMAS AR WARMOADGENS, MAGRAM SADAC MITITEBA GVAQVS ROM FEKALURI MASEBI DAVRVAROT, IQ MWYEMSEBI AR GVISVEBEN. CUD AMINDEBSI MANQANAS MINDORSI GASVLA UWIRS. AR GVAZLEVEN SAKMARIS BENZINS ARC SXVA ADGILI GAMONAXES~ WITELWYAROS KOMUNALURI KOMBINATIS INJINERI NODAR FIROSMANASVILI KI AMBOBS: `CVENTAN ERTI MANQANA MUSAOBS DA VER ASWREBS, MALE MEOREC AMOQMEDDEBA. ZOG MOQALAQES ONKANI DREDARAM RIA AQVS DA AMITOM NORMAZE METS XARJAVS. OR DRESI ERTXEL VASUFTAVEBT KORPUSIS ORMOEBS, MAGRAM... ZOGI MIICNEVS, ORMOEBI PATARAAO, MAGRAM TU GAVIANGARISEBT, NORMALURMA ADAMIANMA RAMDENI WYALI UNDA DARVAROS, ARMOCNDEBA, ROM ORMOEBI DIDIA~.

◆ TEVZDACVIS ORTVIURI DAIWYO. WELS LAGODEXSI TEVZDACVIS SAKITXEBZE KANONDARRVEVIS 49 FAQTI DAFIQSIRDA. SINAGAN SAQMETA WITELWYAROS GANYOFILEBISA DA TEVZDACVIS INSPEQCIIS MONAWILEOBIT XSIRAD EWYOBA REIDEBI. CVENI RAIONIS TBEBSA DA MDINAREEBS XSIRAD STUMROBEN UNEBARTVOD MOTEVZAVENI. AMASWIN UNEBARTVOD MOPOVEBULI TEVZI CAMOERTVAT DA 25-25 MANETIT DAJARIMDNEN GURJAANELEBI. ASEVE SXVEBI 13 KG TEVZIS DAWERISTVIS 15-15 MANETIT DAAJARIMES. 25 MANETAMDE DAJARIMDNEN ZEMOQEDELI BRAKONIEREBI, ASEVE WITELWYAROELEBI DA GAMARJVEBELEBI. ILIA KIKABIZE, VLADIMER DONJASVILI DA LEVAN AVETISOVI TBILISIDAN CAMOVIDNEN WITELWYAROSI, MAGRAM GARTOBISA DA DASVENEBIS MIZNIT RODI CAMOSULAN. 105 KG TEVZI DAIWIRES, ROMLIS RIREBULEBA 210 MANETIA. NADAVLI CAMOERTVAT DA TITOEULI 15 MANETIT DAJARIMDA. SAMYARO CVENI SAERTO SAXLIA DA UNDA MOVUFRTXILDET BUNEBAS.

◆ SASURSATO PROGRAMIS WARMATEBIT SESASRULEBLAD IRWVIS YVELA SOFLIS TITOEULI MUSAKI. ISINI YOVEL RONES XMAROBEN, RATA DROULAD DA XARISXIANAD, DANAKARGEBIS MAQSIMALURI SEMCIREBIT AIRON WIRNAXULI. IVLISIS SUA RICXVEBSI SESANISNAVI AMINDEBI IYO TAVTAVIANI MARCVLEULIS ASAREBAD, MEQANIZATOREBIC CQAROBDNEN. MSROMELI ADAMIANEBIS GVERDIT KI GAMOCNDNEN ISETEBIC, ROMLEBSAC SURDAT DAPATRONEBODNEN SAXALXO DOVLATS. AMJERAD SAXALXO QONEBIS DATACEBIS OR FAQTS DAVASAXELEBT 6 IVLISS DAAKAVES MIVLINEBASI MYOFI SAQSAXKOM SOFLTEQNIKIS QUTAISIS GAERTIANEBIS # 5 AVTOSATRANSPORTO SAWARMOS MZROLI GIA WERETELI. MAN 550 KG XORBALI DAITACA WITELWYAROS LENINIS SAXELOBIS KOLMEURNEOBIS KALODAN. MEOREC ANALOGIURI SEMTXVEVAA. 9 IVLISS DAAKAVES WITELWYAROS RAIONIS OZAANIS KOLMEURNEOBIS MZROLI JUMBER QARUMAS ZE MARTYOFLISVILI, ROMELMAC 540 KG XORBALI MIITVISA OZAANIS KOLMEURNEOBIS KALODAN. ORIVE DAMNASAVIS MIMART ARZRULIA SISXLIS SAMARTLIS SAQME DA MALE WARSDGEBIAN MARTLMSAJULEBIS WINASE. AMIS SESAXEB REDAQCIAS WERILOBIT ACNOBA WITELWYAROS SS RAIGANYOFILEBIS SOCIALISTURI SAKUTREBIS DATACEBISA DA SPEKULACIASTAN BRZOLIS JGUFIS INSPEQTORMA R. MARTYOFLISVILMA.




სოფელი არბოშიკი. სოფლის საპარიკმახერო და სამკერვალო

## 1982 WLIS IVLISI

◆ RATOMAA ANTISANITARIA QALAQ WITELWYAROSI? UAMRAVI WERILI SEMODIS REDAQCIASI. MAGALITAD QALAQ WITELWYAROS RUSTAVELIS QUCAZE MDEBARE 4 DA 5 SARTULIANI SENOBEBIS NAXMARI WYLIS ORMOEBI DROULAD AR SUFTAVDEBA DA TUALETIS WYLEBI RVARAD MOEDINEBA TARASVILISA DA ALURISVILEBIS EZOSI. BINZURDEBA BOSTNEBIC. MSGAVSI MDGOMAREOBAA STALINIS QUCIS KORPUSIS EZOSIC. MARJANISVILIS QUCASAC ABINZUREBS SACXOVREBELI BINIS SAKANALIZACIO ORMODAN GAMOMDINARE WYALI. VENDISPANSERIDAN GAMOMDINARE SIBINZURE TBORAVS MACXOVREBLEBS. SIBINZUREA SAQNAVTIS WITELWYAROS DASAXLEBIS KORPUSSIC, TUALETEBI REGULARULAD AR IW-

◆ RAMDENIME WLIS WIN WITELWYAROSI KARG SAQMES CAEYARA SAFUZVELI. MGZAVRTA UKET MOMSAXUREBIS MIZNIT RAIONIS CENTRALUR GZEBZE AVTOBUSEBIS GACEREBIS ADGILAS MOSACDELI JIXUREBIS MSENEBLOBA DAIWYES. SAMWUXAROD, MXOLOD DAIWYES DA BEVR MATGANS ISEV AR ERIRSA DASRULEBA. AM JIXUREBSI ARC SKAMEBIA MOWYOBILI, ARC IATAKIA MOASFALTEBULI, ZOGGAN KEDLEBIC SESALESIA. ASET MOUWYOBEL JIXUREBS SEXVDEBIT GEDIQIS XEVZE, ARBOSIK-OZAANIS GZAGASAYARTAN, SOFEL GAMARJVEBASTAN, MEFRINVELEOBIS MEURNEOBIS SIRAQIS GANYOFILEBASTAN DA SXVA. SAINTERESO KIA, RODIS DAAMTAVREBEN JIXUREBIS KETILMOWYOBAS, RODIS DAABOLOEBEN SAQMES?

(STILI DACULIA)

MOAMZADA
ილია მარტყოფლიშვილმა

## მონატრება

# ნიკოლოზ ჩიბუხაშვილი, ნინო კიკილაშვილი





ერთმანეთის მიყოლებით ორი ისეთი ტკივილი დაატყდა ჩვენს სკოლას და, კერძოდ, ჩვენს კლასს, რასაც საზარელი სიტყვა „სიკვდილი" ჰქვია და რასაც საშველი არსაით აქვს. ჩვენი მწუხარებაც უსაშველოა. ჩვენგან მოულოდნელად წავიდა ორი ახალგაზრდა, რომლებსაც წინ უამრავი ოცნება და მიზანი ჰქონდათ.

ნიკოლოზ ჩიბუხაშვილი დედამიწაზე ჩამოსული ხორცშესხმული ანგელოზი იყო. მან სკოლაში მოსვლისთანავე მოახერხა ყველას გულების გათბობა და ძალიან შეგვაყვარა თავი. იგი მხოლოდ სიკეთესა და სითბოს ასხივებდა. უყვარდა თამაში, სიმღერა და ხატვა. ჰქონდა ლაღი და სუფთა იუმორის გრძნობა, ხშირად აკეთებდა სასაცილო კომენტარებს და სწავლისაგან დაღლილ თანაკლასელებს საოცრად კარგ განწყობაზე გვაყენებდა. მასაც ძალიან ვუყვარდით, რასაც დაუფარავად გამოხატავდა.ჩვენი კლასი, ერთის მხრივ, აღმოჩნდა იღბლიანი, რადგან გვერგო მის კლასელად ყოფნის ბედნიერება და ზუსტად ვიცით, რომ მისი სახით, იმქვეყნად ჩვენი მფარველი ანგელოზი გვყავს. მეორეს მხრივ კი, ჩვენ ვართ კლასი, რომელიც დიდ ტკივილსა და უსაზღვრო მონატრებაში ვცხოვრობთ. არ მოველოდით მის სიკვდილს და ამიტომ დაუჯერებელია ჩვენთვის, ვერ ვითავისებთ მის არყოფნას და კვლავაც მოლოდინის და მონატრების რეჟიმში ვცხოვრობთ. ჯერ ნინო კიკილაშვილის ტრაგიკული გარდაცვალება არ გვქონდა ბოლომდე გაცნობიერებული, რომ რამდენიმე დღეში ნიკას ამბავიც თან დაგვერთო,ნინომ და მისმა ტყუპისცალა ძმამ – სოსომ დაწყებითი სწავლება ჩვენთან ერთად გაიარეს. ორივე უაღრესად მოწესრიგებული და ნიჭიერი ბავშვი იყო. მეხუთე კლასიდან სხვა სკოლაში მოუწიათ სწავლის გაგრძელება, მაგრამ სულ მუდამ ჩვენს კლასელებად ვთვლიდით,ის ბავშვური სიყვარული სულ დარჩა ჩვენს შორის. ნინო იყო შრომისმოყვარე და ძალიან ნიჭიერი გოგონა. ოქროს მედლის კანდიდატად ითვლებოდა, ჩართული იყო მრავალ აქტივობაში, მთელ სკოლას ეიმედებოდა, გამოირჩეოდა თავმდაბლობით, გაუაზრებლად ერთ ზედმეტ სიტყვას არ იტყოდა, მას დიდი მომავალი ჰქონდა, მაგრამ ერთმა ტრაგიკულმა შემთხვევამ ყველაფერი დაანგრია.

ამ კვირაში ნიკას და ნინოს ორმოცი დღე შეუსრულდათ, რაც ცათა სასუფეველში გსდაინაცვლა მათმა სულებმა. უფალს ვთხოვთ, ნათელი დაუმკვიდროს მათ, რათა განისვენონ იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. ჩვენ კი მუდამ გვემახსოვრება ისინი და პატივს მივაგებთ მათ ხსოვნას.

ქ. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგიური კოლექტივი, XI[ა] ა კლასის მოსწავლეები, მშობლები და კლასის დამრიგებელი ბელა კიკილაშვილი.

# დარეჯან ბეგიაშვილი



30 ივნისი ჩვენი ოჯახისთვის მძიმე დღედ იქცა. ამ დღეს დატოვა შენმა ნაწამებმა სულმა ამქვეყნიური ცხოვრება და მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლა. დაგვტოვე, შვილო, შენი უბედური მშობლები, შენი დები, შვილები და შენი ახლობლები. დაგვიტოვე შენი პატარა ობლები გასაზრდელად. შემეძლო თუ არა, უნდა მიმეხედა შენი შვილებისთვის, სიკვდილზე არასდროს ლაპარაკობდი ჩემთან, მხოლოდ მეტყოდი ხილმე- „მარი, თუ მოვრჩი, თქვენთვის მოვრჩებიო". მხოლოდ შენი ქეთისთვის გითქვია, როცა გარდავიცვლები, ეს სურათი გამიდიდეთო. 30 ივნისის მერე დაიწყო ჩვენთვის ჯოჯოხეთური სიცოცხლე. გაქრა შენი დების სახეზე მხიარული ღიმილი. შენი შვილების თვალებში დაისადგურა დარდმა და სევდამ.ნიკა მკითხავს ხოლმე, ბებო, დედა რატომ გარდაიცვალა, მას ხომ ღმერთის სჯეროდა. მე კი ვანუგეშებ, რომ „უფალს რჩეულები მიჰყავს თავისთან" - მეთქი. ისევ იტყუებს თავს, რომ ყველაზე დიდ და ნათელ ვარსკვლავში შენ ცხოვრობ. ყველა ვცდილობთ, შენს შვილებს ტკივილი შევუმსუბუქოთ. მათ აღზრდაში გვერდში გვიდგანან შენი დები და ნინო. შვილო, ველარ ვუძლებ მამაშენის უჩუმარ ცრემლებს შენს სურათთან და საფლავზე.

შენი ანა შენსავით მხიარული და აქტიურია, რაშიც ძალიან ეხმარებიან ჩვენი კლუბის თანამშრომლები. მზრუნველობას არ აკლებენ სკოლის პედაგოგები, რისთვისაც ყველას დიდი მადლობა მინდა გადავუხადო. დარო, შენი შვილების მშობელთა კრებაზე შავ ძაძებში გამოხვეული რომ მივდივარ, შენი საკლასო ოთახისკენ გავაპარებ ხოლმე თვალს და ცრემლს ვერ ვიკავებ, შენი ბავშვობა მაგონდება, თუ რა ბედნიერები ვიყავით, შენმა იზამ სკოლა დაამთავრა. დაიზარდნენ შენი დისშვილები, შენ კი ამ ყველაფერს ვერ მოესწარი, შვილო. მჯერა, შენი სული ზეციდან უყურებს მათ, შენ ჩვენთვის მარად ცოცხალი იქნები, ჩემო გოგო. 30 ივნისს შენს საფლავზე მოვალთ, აგინთებთ სანთელს, მივეფერებით შენს სევდიან თვალებს გაყინულ ქვაზე. შემდეგ ტაძარში წავალთ, შენი მოძღვარი მამა ლევანი პანაშვიდს გადაიხდის და შენი უბედური მშობლები კვლავ დავბრუნდებით უშენოდ მოწყენილ და სევდიან სახლში, სადაც შენი ობლები იზრდებიან. სიცოცხლე გრძელდება, შვილო და ამ გაგრძელების ნაწილი ვართ შენი გატანჯული მშობლებიც, ნათელში გამყოფოს უფალმა, სასუფეველი დაგიმკვიდროს ზეცაში. ჩვენ კი სანთელ-საკმეველს არ მოგაკლებთ, ჩვენო უდროოდ წასულო შვილო. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი არბოშიკის მიწა.

**შენი უბედური მშობლები:** ნიკო და მარინა ბეგიაშვილები; **შვილები**: ანა და ნიკოლოზ პოპიაშვილები; **დები**: ხათუნა და ქეთი ბეგიაშვილები; **მამიდაშვილი** ნინო რამიშვილი.

მერი, სოსო, ნათელა, ნიაზი ჯანაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ჟორა, ლალი, ლია მეხრიშვილებს, თენგიზ, დათო, ლიკა საკანელაშვილებს

მერი მეხრიშვილის

გარდაცვალების გამო.

# „ხელოვნებაა თავად უკვდავება“...

*28 ივნისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ბაზაზე არსებული ახალგაზრდული თეატრი „ბერიკონი“ დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენაზე სპექტაკლის პრემიერით წარსდგა. კონსტანტინე გამსახურდიას უკვდავი რომანი ,,დიდოსტატის მარჯვენა“ რეჟისორმა და სცენარისტმა ცარო მარტიაშვილმა დადგა. მის მხარდამხარ მუშაობდნენ მხატვარი აკაკი მერაბიშვილი, მუსიკალური გამფორმებელი მამუკა უთრუთაშვილი, გრიმზე და აქსესუარებზე სოფიო კირვალიძე, გამნათებელი ვარლამ ქადაგიძე, კოსტიუმებზე მანანა ნაროზაული.*

ქართული ახალგაზრდული თეატრის ისტორია საქართველოში შორეულ წარსულში იღებს სათავეს. გასული საუკუნის დასაწყისში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში დაარსდა პროფესიული თეატრები, რომლებიც დღესაც განაგრძობენ ფუნქციონირებას. ახალგაზრდული თეატრის მიზანია, შექმნას ისეთი თეატრალური სივრცე, სადაც ახალგაზრდებს ეძლევათ საშუალება, შემოქმედების გზით გამოხატონ საკუთარი აზრები და იდეები დღევანდელობაზე და დღევანდელ აქტუალურ თემებზე, მიანიჭონ ადამიანს სიხარული, შთაბერონ მას მხნეობა, ხოლო ცნობილი გენიალური კლასიკოსების შემოქმედება გამოიტანონ მაყურებლის წინაშე იმ რანგში, როგორიც ეს „ბერიკონის“ საიბილეო 5 წლისთავზე წარმოგვიდგინეს ჩვენმა ახალგაზრდა მსახიობებმა.

ახალგაზრდული თეატრი „ბერიკონი“ 2013 წელს ჩამოყალიბდა დედოფლისწყაროში და მას დაარსებიდან დღემდე სათავეში უდგას კულტურის სახლის დირექტორი, მუნიციპალიტეტის მრავალი კულტურული ღონისძიების ავტორი და წამყვანი ათეული წლების განმავლობაში და, ზოგადად, კულტურული სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენელი, ქალბატონი ცარო მარტიაშვილი. ახალგაზრდულმა დასმა 2013 წლიდან დღემდე მაყურებლის წინაშე წარმოადგინა შემდეგი სპექტაკლები:ვაჟა ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“, „ბასიანის ბრძოლა“, „მარტოობის დღესასწაული და ამბავი ნიკო ფიროსმანისა“, „ჩვენი შექსპირი“, (შექსპირის ტრაგედიების მიხედვით). „ჰამლეტი“, „ოტელო“, „მეფე ლირი“, „რომეო და ჯულიეტა“. როგორც დამდგმელმა სცენარისტმა ცარო მარტიაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, „დიდოსტატის მარჯვენაზე“ მუშაობა კერ კიდევ ნოემბრის თვეში დაიწყეს, თუმცა, რამდენიმე თვის განმავლობაში ბავშვები მხოლოდ ტექსტებს კითხულობდნენ და მასთან დაახლოვებას ცდილობდნენ, მხოლოდ ორიოდე თვის წინ გადაინაწილეს როლები. როლების განაწილებაშიც სრული თავისუფლება მიანიჭათ მათ პედაგოგმა . ბავშვებმა როლები ერთმანეთში გადაინაწილეს პირადი მოსაზრებების მიხედვით, მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან სწორად ჰქონდათ არჩევანი გაკეთებული. თითოეული ახალგაზრდა გასაოცრად ზუსტად იჯდა როლში, რასაც ძალიან მაღალი შესრულების დონეც ამყარებდა.

შეუძლებელია, ჩვენს მკითხველს არ გავაცნოთ თითოეული როლის შემსრულებელი ახალგაზრდა მსახიობი :მეფე გიორგი-დავით ხუციანიძე, მარიამ დედოფალი-ეთო შარმაზანაშვილი, შორენა- კატო გვენეტაძე, არსაკიძე-თორნიკე ოზბეთელაშვილი, ზვიად სპასალარი და შავლეგ ტოხაისძე-გიორგი ბენაშვილი, ფარსმან სპარსი- გიორგი იაკობიშვილი, ჭიაბერი და კოლონკელიძე-გიორგი მაზიაშვილი, მელქისედეკ კათალიკოსი-სოსო კიკილაშვილი, მამამზე ერისთავი და გირშელი- აბრამ ახალაური, ბორდოხანი და ვარდისახარი-თათული ხუციშვილი, ხევისბერი-თორნიკე აფციაური, არსაკიძის დედა-თათია ცისკარაული, მემატიანეები, მაცნეები-ანა დავითაშვილი, ლიკა ბახუტაშვილი, ანასტასია ყოჩიაშვილი, მალვინა ისმაილოვა, მერიკო ზურაშვილი.

ეს ბავშვები სკოლაშიც, გზაშიც, სხვადასხვა ღონისძიებებზე ხშირად მხვდებიან, ისინი ყოველთვის რაღაცით გამორჩეულები არიან, ჩანან აქტიურობით, სილაღით, მათ თავიანთი ნიშა აქვთ ჩვენს ქალაქში, ამ 5 წელმა კიდევ უფრო ბევრი რამ ასწავლათ, უფრო გაიზარდნენ, დაიხვეწნენ, გალამაზდნენ...

ამ დღესაც მაყურებელს მათ თავიანთი არაჩვეულებრივი ოსტატობით კიდევ ერთხელ შეგვახსენეს, რომ, რომანს „დიდოსტატის მარჯვენა“ საფუძვლად უდევს სვეტიცხოვლის მშენებლობის ნახევრად ლეგენდური ისტორია, სადაც მთავარი მოქმედი პირები არიან: მეფე გიორგი I და სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარი კონსტანტინე არსაკიძე.

„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა" 1938—1939 წლებში დაიწერა, ხოლო მოქმედება იშლება XI საუკუნის საქართველოში, უპირველესი ქრისტიანული ტაძრის- სვეტიცხოველის გარშემო. მაგრამ ფაქტიურად რომანი აღმოჩნდა 1937 წლის ტრაგედიის ალეგორიული გადატანა შორეულ წარსულში, კატასტროფულ მოვლენათა მარადიული მოდელის პოვნა და გამოხატვა, მისი წაკითხვა გარდასული ჟამის ფონზე, ხოლო ანტირუსული პათოსი დაშიფრულ იქნა ანტიბიზანტიური სულისკვეთებით.





კონსტანტინე გამსახურდია ამ რომანით წარმოგვიდგება ისტორიული რეალობისა და შუასაუკუნური კულტურის ბრწყინვალე მცოდნედ, გარდასულ სახეთა გაცოცხლების, მათთვის უკვდავი სულის შთაბერვის სწორუპოვარ ოსტატად. მწერლის ისტორიული რომანი, უპირველეს ყოვლისა, იმით განსხვავდება ისტორიულ თემაზე ჩვენში ადრე შექმნილი თხზულებებისაგან, რომ ამ ნაწარმოებში პირველად გადაილახა ის ზღვარი, რომელსაც მწერლები აღმართავდნენ ხოლმე მეფე-დიდებულებსა და მდაბიოთა შორის. კონსტანტინე გამსახურდიამდე იშვიათად რომ ვინმეს დაეხატოს ასეთი სიზუსტით მეფე-ადამიანი: ტრადიციული სქემატურობით და ფრესკული ერთსახოვნებით კი არა, არამედ, თავისი ადამიანური ვნებებით და წინააღმდეგობრივი ბუნებით.

სიუჟეტი ეფუძნება ნაწილობრივ ლეგენდარულ ამბავს სვეტიცხოველში 1010-იან წლებში ახალგაზრდა იდუმალი არქიტექტორის, კონსტანტინე არსაკიძის მოღვაწეობას. მოქმედება მიმდინარეობს მეთერთმეტე საუკუნეში და მოგვითხრობს გიორგი პირველზე. სპექტაკლის მიმდინარეობისას სიუჟეტურ ცვლასთან ერთად გვესმის ციტატები, რომლებიც კარგად ნაცნობია ჩვენთვის, მაგრამ, გვიხარია, რომ ამ გენიალური მწერლის საგანძურს ზეპირად გვიკითხავენ ბავშვები:“ჩვენ კი, ადამიანები, უბედურნი ვართ, საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად უერთგულეს ადამიანსაც იოლად გავწირავთ ხოლმე.“ „ძლიერს უფრო მეტად უჭირს ამ ქვეყნად. მიტომაც მუდამ დაღრენილნი დადიან ლომები, ვეფხვები და ავაზები, ხოლო თრითინები, თაგვები და ციყვები მუდამ მხიარულად დაცუნცულებენ.” “როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც კი ვერ გაამარჯვებინებს მას.” "უდიდესი უბედურება მაშინ ეწვევა კაცს, როცა მას დაავიწყდება, რომ კაცთაგანი უფლისწულია ყოველი." "ნამდვილი თავმდაბლობა, არაოდეს აურიოთ მონისა და მლიქვნელის თავმდაბლობაში, არც იმ გლახაკის თავმოდრეკილობაში, სამოგვის თასმებს რომ უკოცნის პატრონს."

დიახ, ამ ციტატების მიხედვით, ბავშვებმა იციან, რა არის ღალატი, რა არის ნამდვილი თავმდაბლობა, რა სხვაობაა უბედურებასა და ბედნიერებას შორის, იციან ძლიერსა და სუსტს შორის განსხვავების არსი, იციან ღალატის და ერთგულების ფასი და ეს ყველაფერი მათ არა მარტო საზეპიროდ იციან, არამედ მთლიანად გაითავისეს როლში შესვლისას და განიცადეს. ეს კი ნამდვილი გამარჯვებაა რეჟისორის ჩანაფიქრისა. ” ახლა, როცა ყველაფერი უკან დარჩა...როგორ გავბედე და როგორ შევეჭიდე გენიალური მწერლის გენიალურ ქმნილებას..უფრო მეტიც.. ჩემი ახალგაზრდა მეგობრებიც ავიყოლიე..,,დიდოსტატის მარჯვენა"...პრემიერა შედგა..

„ბერიკონელებო“... თქვენ ეს შეძელით!!!ტკივილამდე და უსასრულობამდე მიყვარხართ! ნიჭიერები ხართ...მადლობა ერთად გატარებული თითოეული წუთისათვის!!!!მადლობა დღევანდელი დღისათვის!!!!!“- ეს ემოციური მიმართვა ქალბატონ ცაროს ეკუთვნის და ამ აზრს მაყურებლის ოვაცია უმყარებს. სპექტაკლის დასრულების შემდეგ მაყურებელი ფეხზე იდგა, მქუხარე აპლოდისმენტები კი არ წყდებოდა.

დასასრულს სცენაზე ავიდნენ და მთელს შემოქმედებით კოლექტივს არაჩვეულებრივი სანახაობისთვის მადლობა გადაუხადეს მერიის განათლების , კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმა და მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის უფროსმა ნონა ჯიბღაშვილმა. მათ მადლობის სიგელები გადასცეს ბავშვებსა და მათ ხელმძღვანელს და ორდღიანი ექსკურსიით დააჯილდოვეს.

**მოამზადა**
ელზა ხარაშვილმა

## ულოცავენ!

## თამარ დავითურს!



1968 წლის 29 ივნისიდან დაწყებული ექიმის 50 წლიანი კარიერა... უამრავი უძილო ღამე და ჭიდილი სიკვდილთან...

დღემდე სამედიცინო სფეროში და დღემდე პროფესიული წინსვლის ულევი მოტივაციით... საქმისადმი მისი პროფესიონალური დამოკიდებულება და პოზიტიური ენერგია ყოველთვის სამაგალითო და ბევრისათვის გადამდებია. ვულოცავთ ქალბატონ თამარ დავითურს ამ თარიღს და გვჯერა, ასეთივე მხნედ გააგრძელებს თავის საქმიანობას. სხვათა ჯანმრთელობის სადარაჯოზე მდგარს თავადაც ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებთ.

სოფელ არხილოსკალოს მადლიერი პაციენტები


## ი ყ ი დ ე ბ ა !



კერძო, კაპიტალური სახლი დედოფლისწყაროში, სახლის ფართი 300 კვ.მ, გარემონტებული, 4 საძინებლით, 2 სველი წერტილით, სახლი უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირით, ელექტროენერგიით, წყლით, აქვს სათავსო, სარდაფი, ავტოფარეხი, 600 კვ.მ. ეზო. ფასი შეთანხმებით.☎ 599 55-90-20



67კვ.მ კომერციული ფართი ძველი რემონტით ქალაქ დედოფლისწყაროში, უზრუნველყოფილი ელექტრო ენერგიით, წყლით, ბუნებრივი აირით, კანალიზაციით. ფასი შეთანხმებით.

მსურველები დაგვიკავშირდით ☎ 599 55-90-20


## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 02.07 | | სამშაბათი 03.07 | | ოთხშაბათი 04.07 | | ხუთშაბათი 05.07 | | პარასკევი 06.07 | | შაბათი 07.07 | | კვირა 08.07 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 38 ° | 37 ° | 39 ° | 38 ° | 39 ° | 38 ° | 32 ° | 27 ° | 30 ° | 27 ° | 26 ° | 25 ° | 25 ° | 24 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.



რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)



რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.